სსიპ იურიდიული
დახმარების სამსახური

# საქმიანობის
# შესახებ ანგარიში

# 2019

# 2019 წელი ერთი შეხედვით

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18 044<br>საქმე | | 35 834<br>კონსულტაცია | | 4 208<br>ონლაინ<br>კონსულტაცია | |
| | 44 006<br>იურიდიული<br>დახმარებით<br>მოსარგებლე პირი | | 117<br>გასვლითი<br>კონსულტაცია | | 8 020<br>სატელეფონო<br>კონსულტაცია |
| 2 678<br>წარმატებული<br>საქმე | | 4<br>ახალი ოფისი | | 67<br>საზოგადოებრივ<br>ი/სამართლებრი<br>ვი/საქველმოქმე<br>დო აქტივობა | |
| | 10<br>დელეგაციის<br>ვიზიტი | | 87<br>ქალაქი/დაბა/<br>სოფელში<br>შეხვედრა | | 11<br>საზღვარგარეთ<br>ვიზიტი |
| 29<br>ტრენინგი/<br>სამუშაო<br>შეხვედრა | | 7<br>მემორანდუმი | | 18<br>საბჭოს სხდომა | |
| | რეესტრის<br>ადვოკატების<br>ანაზღაურების<br>გაზრდა | | ახალი აპარატის<br>სტრუქტურა | | სასწავლო<br>ცენტრის<br>ფორმირება |
| საკონსულტაცი<br>ო საბჭოს შექმნა | | ახალი<br>შეფასების<br>სისტემის<br>პროექტი | | 10 000-ზე მეტი<br>FACEBOOK<br>მოწონება | |
| | 10 000-ზე მეტი<br>FACEBOOK<br>გამოწერა | | 200-ზე მეტი<br>გამოქვეყნებულ<br>ი ინფორმაცია | | 360<br>საიტის<br>სტუმარი<br>ყოველდღე |
| 4 799<br>შემოსული<br>დოკუმენტი | | 7 951<br>შიდა<br>დოკუმენტი | | 7<br>გაცემული<br>საჯარო<br>ინფორმაცია | |
| | 2 580<br>გასული<br>დოკუმენტი | | 2 277<br>გამოცემული<br>გრძანება | | 210<br>გაფორმებული<br>ხელშეკრულება |

# შინაარსი


## 1 ზოგადი ნაწილი

### იურიდიული დახმარების სამსახური

1.1. იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ
1.2. იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობა
1.3. იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირები
1.3.1. იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირები (საკანონმდებლო რეგულაცია)
1.3.2. საგამონაკლისო წესით ადვოკატის დანიშვნა
1.4. იურიდიული დახმარების სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობა
1.5. იურიდიული დახმარების სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობა წლების მიხედვით
1.6. იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების ადგილმდებარეობა და საკონტაქტო ინფორმაცია
1.7. იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზაციული მოწყობა
1.8. იურიდიული დახმარების საბჭო
1.9. იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი
1.10. იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის მოწყობა
1.11. იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროები (საზოგადოებრივი ადვოკატები)
1.12. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატები

### ძირითადი ნაწილი

## 2 იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობა

2.1. იურიდიული დახმარების სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა
2.2. გასვლითი კონსულტაციები

## 3 იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობა

3.1. საზოგადოებრივი აქტივობები
3.2. საქველმოქმედო აქტივობები
3.3. სამართლებრივი აქტივობები
3.4. მემორანდუმები

## 4 საერთაშორისო ურთიერთობები

4.1. საერთაშორისო დელეგაციები
4.2. საერთაშორისო ვიზიტები
4.3. საერთაშორისო პარტნიორები და აქტივობები

5 იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები

6 იურიდიული დახმარების საბჭო

7 საკონსულტაციო საბჭო

8 სამთავრობო სამოქმედო გეგმები

9 სტატისტიკური მონაცემები

10 იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის საქმიანობა

10.1. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები
10.2. იურიდიული დახმარების სამსახურის დოკუმენტბრუნვა
10.3. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მომზადებული, განახლებული დოკუმენტები
10.4. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მომზადებული პროექტები, კვლევები, პრეზენტაციები

11 საჯარო ინფორმაცია

12 განგრძობადი განათლება

12.1. სასწავლო ცენტრი
12.2. ტრენინგები
12.3. სამუშაო შეხვედრები

13 მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

14 იურიდიული დახმარების სამსახურის ფინანსური ანგარიში

15 იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა მადლობის წერილები

16 წარმატებული საქმეები

# იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი

*”ჭეშმარიტი მშვიდობა არ არის მხოლოდ დაძაბულობის არარსებობა; ეს არის სამართლიანობის არსებობა”- პროფესორი მარტინ ლუთერ კინგი უმცროსი“; True peace is not merely the absence of tension; it is the presence of justice” – Dr. Martin Luther King, Jr. (1955).*

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება არის კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარი ჭეშმარიტი მშვიდობის მისაღწევად. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მიღება იყო მსოფლიოს განაცხადი სწორედ მშვიდობის დასამკვიდრებლად.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა თავის მხრივ არის სამართლისა და სამართლიანობის, „კანონის უზენაესობის“ ბატონობა.

„კანონის უზენაესობის“ არსებობა და შენარჩუნება დამოკიდებულია ინსტიტუტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ და ქმნიან მის ფორმას.

მართლმსაჯულების სისტემა არის ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტი. თუმცა, ყველაზე განვითარებული მართლმსაჯულების სისტემაც კი წარუმატებელია, თუ არ არის უზრუნველყოფილი მასზე ეფექტური წვდომის უფლება.

მართლმსაჯულებაზე წვდომის გარეშე საზოგადოება დაკარგავს ცალკეული ინდივიდების ხმას, და საბოლოოდ დემოკრატიულ ღირებულებებს, ვინაიდან დემოკრატიის ძირითადი იდეა მდგომარეობს თითოეული ინდივიდის შესაძლებლობაში მისი ხმა იყოს მოსმენილი.

მართლმსაჯულებაზე წვდომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით, რომლებსაც თავიანთი ფინანსური მდგომარეობიდან თუ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე არ აქვთ საშუალება დაიცვან თავიანთი უფლებები და

საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მიღმა არიან დარჩენილნი.

უფასო სამართლებრივი დახმარება არის მართლმსაჯულებაზე წვდომის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და „კანონის უზენაესობის“ ძირითადი პრინციპი. უფასო სამართლებრივი დახმარება არის უფლება, რომელიც არის მოწყვლადი ჯგუფებისათვის სხვა უფლებებით სარგებლობის წინაპირობა.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, თავის მხრივ გულისხმობს უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობას, რაც საზოგადოებრივი ცნობადობის გარეშე ვერ მიიღწევა.

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება იყოს ინფორმირებული უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლოს ამ უფლებით სარგებლობა, განსაკუთრებით იმ ადგილებში სადაც სამართლებრივი ცნობიერება დაბალია.

ადამიანი, რომელმაც იცის რომ მას აქვს სამართლებრივი მხარდაჭერის უფლება და შესაძლებლობა, უფრო მეტად არის აღჭურვილი უნარით, არ დაუშვას მისი უფლებების დარღვევა. სწორედ ამიტომ იურიდიული დახმარების სამსახურის განვლილი და მიმდინარე წლის აქტივობების დიდი ნაწილი უკავშირდება სამსახურის ხელმისაწვდომობის და ცნობადობის გაზრდას და მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთათვის იმ უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც მათ მისცემთ საშუალებას იყვნენ საზოგადოების აქტიური წევრები და ჰქონდეთ თვითგანვითარების შესაძლებლობა.

სამართლებრივად გაცნობიერებული საზოგადოება არის გარანტი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სამართლისა და სამართლიანობის და საბოლოოდ, მშვიდობის დამკვიდრების, რისთვისაც ისწრაფვის კიდეც კაცობრიობა.

*რაჟდენ კუპრაშვილი*

# 1. ზოგადი ნაწილი

## იურიდიული დახმარების სამსახური

## 1.1. იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ

იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას საქართველოს კონსტიტუციის, იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სამსახურის დებულების საფუძველზე.

იურიდიული დახმარების სამსახური არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# 1.2. იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობა

## მიზანი

საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების მიწოდება

## პრინციპები

- ✓ კანონიერება
- ✓ თანასწორობა
- ✓ დამოუკიდებლობა
- ✓ გამჭვირვალობა

## სფერო

- ✓ სისხლის სამართალი
- ✓ სამოქალაქო სამართალი
- ✓ ადმინისტრაციული სამართალი

## სახეები

- ✓ იურიდიული კონსულტაცია
- ✓ იურიდიული დახმარება (სამართლებრივი დოკუმენტის შედგენა, წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში)

## მომსახურების მიწოდების ფორმები

- ✓ პირადი
- ✓ სატელეფონო
- ✓ ონლაინ

# 1.3. იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მოქალაქეები | | არასრულწლოვნები | | თავშესაფრის მაძიებლები | |
| | მოქალაქეობის არმქონე პირები | | უცხო ქვეყნის მოქალაქეები | | სავალდებულო დაცვის ქვეშ მყოფი პირები |
| გადახდისუუნარო პირები | | ქალები | | მხარდაჭერის მიმღები პირები | |
| | პენსიონრები | | პაციენტები | | მარტოხელა მშობლები |
| მარჩენალდაკარგული პირები | | სათნოების სახლის ბენეფიციარები | | რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარები | |
| | რეპრესიის მსხვერპლები | | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები | | ვეტერანები |

## 1.3.1. იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირები (საკანონმდებლო რეგულაცია)

| | |
|---|---|
| | საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ კრიტერიუმებს. |
| **იურიდიული კონსულტაცია** | იურიდიული კონსულტაცია - სამართლებრივი რჩევა ხელმისაწვდომია ყველასთვის ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე სახელმწიფოს ხარჯზე. |
| **იურიდიული დახმარება** | სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს ხარჯზე ხელმისაწვდომია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. |

### იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირები სისხლის სამართალში

| | |
|---|---|
| **ბრალდებული (დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე)** | ✓ გადახდისუუნარო ბრალდებული, თუ ის მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას;<br>✓ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით). |
| **ბრალდებული (სავალდებულო დაცვა)** | ✓ არასრულწლოვანი;<br>✓ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;<br>✓ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;<br>✓ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; |

✓ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
✓ მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
✓ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
✓ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
✓ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
✓ არაიდენტიფიცირებული პირია;
✓ განიხილება გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი;
✓ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში;

**ბრალდებული/მსჯავრდებული (ადვოკატის დანიშვნის სხვა საფუძვლები)**

✓ სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვა,;

✓ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, სასამართლო სხდომას გადადებს არაუმეტეს 10 დღით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით;

**არასრულწლოვანი**

**ბრალდებული მსჯავრდებული გამართლებული დაზარალებული**

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და დაზარალებული უზრუნველყოფილნი არიან უფასო იურიდიული დახმარებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს არასრულწლოვნის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით);

**არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირი/მოწმე**

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს შეუძლია ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით, თუ იგი არის გადახდისუუნარო ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX, XX და XXII თავებითა და $144^1$–$144^3$ მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე;

| | |
|---|---|
| **ბრალდებული, მსჯავრდებული (18 დან 21 წლამდე პირი)** | 18 წლიდან 21 წლამდე ბრალდებული ან მსჯავრდებული სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით (მოთხოვნის შემთხვევაში); |
| **სამართალდამრღვევი/სავარაუდო სამართალდამრღვევი** | კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც, შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, $45^1$ და $100^2$ მუხლებით, 116-ე მუხლის მე-9 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 123-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 150-ე მუხლის $2^2$ ნაწილით, $153^3$ მუხლის მე-2 ნაწილით, $153^6$ მუხლის მე-2 ნაწილით, $155^2$, 157-ე და 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 173-ე მუხლით, $174^1$ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, $174^{15}$ მუხლის მე-4 ნაწილით, $175^2$, $177^1$ და 178-ე მუხლებით და $181^1$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; |

## სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი

| | |
|---|---|
| **გადახდისუუნარო**<br><br>**განმცხადებელი/საჩივრის ავტორი/მოსარჩელე/მოპასუხე/მესამე პირი** | **გადახდისუუნარო პირისთვის** სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილში იურიდიული დახმარება (ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარმომადგენლობა), საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2018 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმე ეხება:<br><br>✓ უძრავ ნივთთან დაკავშირებულ საკითხებს,<br>✓ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე და მეექვსე წიგნებიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით |

| | |
|---|---|
| | გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საკითხებს;<br>✓ საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს შრომის კოდექსიდან“ გამომდინარე საკითხებს;<br>✓ აღნიშნული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე საკითხებს. |
| **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი** | ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით (შემაკავებელი ორდერის გამოცემა/გასაჩივრება) პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში; |
| **ბრალდებული/მსჯავრდებული** | პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოებისას ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში; |
| **სავარაუდო სამართალდამრღვევი/სამართალდამრღვევი** | ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წარმოებისას სავარაუდო სამართალდამრღვევი/სამართალდამრღვევი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში; |
| **პაციენტი/მსჯავრდებული** | არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებისას პაციენტი/ბრალდებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად; |

| | |
|---|---|
| **მხარდაჭერის მიმღები პირი** | პირის მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობისას პირი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, გადახდისუნარიანობის მიუხედავად; |
| **საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირი** | საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[6] თავით გათვალისწინებული სამართალწარმოებისას იგი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად; |
| **პაციენტი** | პაციენტის არანებყოფლობითი იზოლაციის სასამართლოში საქმის განხილვისას პირი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად; |
| **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი** | ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად, როდესაც მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის დაცვისა და მომალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დამცავი ორდერის გამოცემის საკითხს განიხილავს სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[13] მუხლით დადგენილი წესით, თუ პირმა ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი; |
| **მხარდაჭერის მიმღები პირი** | მხარდაჭერის მიმღები პირი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად, რომელიც არის მხარე სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ საქმეზე, თუ მან ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი, |
| **ოჯახში ძალადობის მსხვერპლი** | ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, ,,იურიდიული დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის 23[1] მუხლით გათვალისწინებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან, თუ მან ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი. |
| **არასრულწლოვანი**<br><br>**18 წლამდე** | იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების (სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები) ყველა არასრულწლოვნისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების, აგრეთვე ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების საშუალებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად; |

## 1.3.2. საგამონაკლისო წესით ადვოკატის დანიშვნა

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი

## იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ განსაზღვრული იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმები

### მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი პირები

✓ პირი მომართვამდე რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის #424 დადგენილების შესაბამისად ითვლებოდა გადახდისუუნაროდ და ენიჭებოდა სახელმწიფო ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, მაგრამ მომართვისას მისი ბოლო მონაცემი გადასულია არქივში;

✓ თუ პირის ოჯახი არაა რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და წარმოდგენილი სარწმუნო დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ მისი ოჯახი იმყოფება ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ მიერ ადვოკატის დაქირავებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებას;

### მძიმე ან განუკურნებელი დაავადებით დაავადებული პირები

✓ პირი დაავადებულია მძიმე ან განუკურნებელი დაავადებით, რომლის ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2013 წლის 15 თებერვლის, №01-6/ნ ბრძანებით, ასევე საქართველოს მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ შესაბამისი დადგენილებით და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული

ოჯახის წევრი.

| | |
|---|---|
| მარტოხელა მშობელი | ✓ მარტოხელა მშობელი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი. |
| მარჩენალდაკარგული | ✓ მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი. |
| არასრულწლოვანი პირი | ✓ არასრულწლოვანი პირი, რომელიც შესაძლოა იყოს მხარე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე და რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი. |
| პენსიონერი | ✓ ასაკით პენსიონერი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი. |
| ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი | ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი. |
| ჰუმანიტარული კავშირის ,,კათარზისის'' (სათნოების სახლი) ბენეფიციარი | ✓ საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის ,,კათარზისის'' (სათნოების სახლი) ბენეფიციარი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი. |
| იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული | ✓ იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატი, ადვოკატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი. |

| | |
|---|---|
| **ადვოკატი, ადვოკატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი** | |
| **პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი** | ✓ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი, ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში მისი პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი. |

# 1.4. იურიდიული დახმარების სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობა

## 2019 წელი

| 13 | 9 | 1 |
|---|---|---|
| ბიურო | საკონსულტაციო ცენტრი | დისტანციური მომსახურების ცენტრი |
| ❖ თბილისის<br>❖ მცხეთა-მთიანეთის<br>❖ შიდა ქართლის<br>❖ ქვემო ქართლის<br>❖ კახეთის–თელავის<br>❖ კახეთის–სიღნაღის<br>❖ იმერეთის–ქუთაისის<br>❖ იმერეთის-ზესტაფონის<br>❖ გურიის–ოზურგეთის<br>❖ სამეგრელოს–ზუგდიდის<br>❖ სამეგრელოს-ფოთის<br>❖ აჭარის<br>❖ სამცხე-ჯავახეთის | ❖ ამბროლაური<br>❖ ახალქალაქი<br>❖ წალკა<br>❖ მარნეული<br>❖ მესტია<br>❖ საჩხერე<br>❖ პანკისი<br>❖ შუახევი<br>❖ ცაგერი | ✓ წეროვანი |

# 2020 წელი

## ტერიტორიული ხელმისაწვდომობა

**14**

### ბიურო

- თბილისი
- მცხეთა
- თელავი
- სიღნაღი
- რუსთავი
- გორი
- ახალციხე
- ზესტაფონი
- ქუთაისი
- ზუგდიდი
- ფოთი
- ბათუმი
- ოზურგეთი
- გურჯაანი

**49**

### საკონსულტაციო ცენტრი

- ამბროლაური
- ახალქალაქი
- წალკა
- მარნეული
- მესტია
- საჩხერე
- დუისი
- ცაგერი
- ყაზბეგი
- დმანისი
- მარტვილი
- შუახევი
- ხაშური
- ბორჯომი
- წალენჯიხა
- ახმეტა
- წყალტუბო
- ტყიბული
- დედოფლისწყარო
- ჭიათურა
- ხობი
- აბაშა
- ონი
- გარდაბანი
- ბოლნისი
- ჩხოროწყუ
- ლაგოდეხი
- ხარაგაული
- დუშეთი
- ბაღდათი
- ქარელი
- მარტვილი
- თიანეთი
- ნინოწმინდა
- თეთრიწყარო
- სენაკი
- სამტრედია
- ადიგენი
- ხონი
- ჩოხატაური
- ლენტეხი
- ქობულეთი
- ყვარელი
- ასპინძა
- ქედა
- იმერეთისა და ქვემო სვანეთის რეგიონის
- სამეგრელოს-ზემო სვანეთის რეგიონის
- შიდა ქართლის რეგიონის
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონის

**1**

### დისტანციური მომსახურების ცენტრი

- ✓ წეროვანი

# 1.5. იურიდიული დახმარების სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობა წლების მიხედვით

## 2005
თბილისი
ზესტაფონი

## 2007
თბილისი
ზესტაფონი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბათუმი
გორი
მცხეთა
თელავი
რუსთავი

## 2008
თბილისი
ზესტაფონი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბათუმი
გორი
მცხეთა
თელავი
რუსთავი
ამბროლაური
ოზურგეთი

## 2010
თბილისი
ზესტაფონი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბათუმი
გორი
მცხეთა
თელავი
რუსთავი
ამბროლაური
ოზურგეთი
ახალციხე
ახალქალაქი

## 2011
თბილისი
ზესტაფონი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბათუმი
გორი
მცხეთა
თელავი
რუსთავი
ამბროლაური
ოზურგეთი
ახალციხე
ახალქალაქი
წალკა

## 2013
თბილისი
ზესტაფონი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბათუმი
გორი
მცხეთა
თელავი
რუსთავი
ამბროლაური
ოზურგეთი
ახალციხე
ახალქალაქი
წალკა
მარნეული
მესტია

## 2014
თბილისი
ზესტაფონი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბათუმი
გორი
მცხეთა
თელავი
რუსთავი
ამბროლაური
ოზურგეთი
ახალციხე
ახალქალაქი
წალკა
მარნეული
მესტია
საჩხერე

## 2016
თბილისი
ზესტაფონი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბათუმი
გორი
მცხეთა
თელავი
რუსთავი
ამბროლაური
ოზურგეთი
ახალციხე
ახალქალაქი
წალკა
მარნეული
მესტია
საჩხერე
სიღნაღი

## 2019
თბილისი
ზესტაფონი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბათუმი
გორი
მცხეთა
თელავი
რუსთავი
ამბროლაური
ოზურგეთი
ახალციხე
ახალქალაქი
წალკა
მარნეული
მესტია
საჩხერე
სიღნაღი
პანკისი
ცაგერი
შუახევი

## 2020
თბილისი
მცხეთა
თელავი
სიღნაღი
რუსთავი
გორი
ახალციხე
ზესტაფონი
ქუთაისი
ზუგდიდი
ფოთი
ბათუმი
ოზურგეთი
გურჯაანი
ამბროლაური
ახალქალაქი
წალკა
მარნეული
მესტია
საჩხერე
დუისი
ცაგერი
ყაზბეგი
დმანისი
მარტვილი
შუახევი
ხაშური
ბორჯომი
წალენჯიხა
ახმეტა
წყალტუბო
ტყიბული
დედოფლისწყარო
ჭიათურა
ხობი
აბაშა
ონი
გარდაბანი
ბოლნისი
ჩხოროწყუ
ლაგოდეხი
ხარაგაული
დუშეთი
ბაღდათი
ქარელი
მარტვილი
თიანეთი
ნინოწმინდა
თეთრიწყარო
სენაკი
სამტრედია
ადიგენი
ხონი
ჩოხატაური
ლენტეხი
ქობულეთი
ყვარელი
ასპინძა
ქედა
იმერეთისა და ქვემო სვანეთის რეგიონის
სამეგრელოს-ზემო სვანეთის რეგიონის
შიდა ქართლის რეგიონის
მცხეთა-მთიანეთის რეგიონის

# 1.6. იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების ადგილმდებარეობა და საკონტაქტო ინფორმაცია

## იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატი

**თბილისის იურიდიული დახმარების სამსახური**
მის: დავით აღმაშენებლის გამზ. N140ა.
ტელ: +995(32) 292 00 55
ელ-ფოსტა: info@legalai.ge ; www.legalaid.ge ; www.facebook.com ;

## იურიდიული დახმარების ბიური

**თბილისის ბიური**
მის: თბილისი, თამარ მეფის გამზირი N14 მე-3 სართული.
ტელ: +995 (32) 295 44 74
მობ: +995 (595) 36 44 10
ელ-ფოსტა: skomakhidze@legalaid.ge

**მცხეთის ბიურო**
მის: მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. N51
ტელ: +995 (32) 251 38 73
მობ: +995 (595) 90 17 05
ელ-ფოსტა: abuchukuri@legalaid.ge

**გორის ბიურო**
მის: გორი, სამეფოს ქ N54
ტელ: +995 (370) 27 95 56
მობ: +995 (595) 90 17 04
ელ-ფოსტა: gjeiranashvili@legalaid.ge

**ახალციხის ბიურო**
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის ქ N17
ტელ: +995 (365) 22 07 35
მობ: +995 (599) 72 21 76
ელ-ფოსტა: tzaridze@legalaid.ge

**თელავის ბიურო**
მის: თელავი, ვარდოშვილის ქ. N7
ტელ: +995 (350) 27 15 38
მობ: +995 (595) 90 17 07
ელ-ფოსტა: itchuniashvili@legalaid.ge

**სიღნაღის ბიურო**
მის: სიღნაღი, აღმაშენებლის ქ N7
ტელ: +995 (355) 23 10 82
მობ: +995 599 98 13 73
ელ-ფოსტა: tgurashvili@legalaid.ge

**რუსთავის ბიურო**
მის: რუსთავი, ბოლტანქალაქის N6
ტელ: +995 (341) 24 14 25

## საკონსულტაციო ცენტრი

**ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ N24
მობ: +995 (595) 30 88 47
ელ-ფოსტა: tchikvaidze@legalaid.ge

**საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: საჩხერე, თავისუფლების ქ N4
მობ: +995 (558) 19 46 37
ელ-ფოსტა: sgiorgadze@legalaid.ge

**წალკის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: წალკა, არისტოტელეს N22
მობ: +995 (599) 09 00 91
ელ-ფოსტა: Ggogichaishvili@legalaid.ge

**დუისის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი დუისი
მობ: +995 (599) 16 10 76
ელ-ფოსტა: ngeldiashvili@legalaid.ge

**ცაგერის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: ცაგერი, რუსთაველის ქ N65
მობ: +995 (595) 09 76 60
ელ-ფოსტა: nurtmelidze@legalaid.ge

**მესტიის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: მესტია, სეტის მოედანი N19
მობ: +995 (551) 20 19 47
+995 (599) 29 44 77
ელ-ფოსტა: ajaparidze@legalaid.ge

**ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: ახალქალაქი, თამარ მეფის N44
მობ: +995 (599) 35 85 85
ელ-ფოსტა: igvaramadze@legalaid.ge

**მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: მარნეული, რუსთაველის N73
მობ: +995 (551) 42 44 00

მობ: +995 (595) 90 17 06
ელ-ფოსტა: mnozadze@legalaid.ge

**ზესტაფონის ბიურო**
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ N11
ტელ: +995 (492) 25 36 37
მობ: +995 (595) 36 44 41
ელ-ფოსტა: gberadze@legalaid.ge

**ქუთაისის ბიურო**
მის: ქუთაისი, სადგურის მოედანი N3
ტელ: +995 (431) 25 34 11
მობ: +995 (595) 90 17 00
ელ-ფოსტა: gsiordia@legalaid.ge

**ზუგდიდის ბიურო**
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. N24
ტელ: +995 (415) 22 00 40
მობ: +995 (595) 90 17 02
ელ-ფოსტა: rkeidia@legalaid.ge

**ფოთის ბიურო**
მის: ფოთი, ვახტანგ გორგასლის ქ N22
ტელ: +995 (493) 22 32 34
მობ: +995 (595) 90 17 03
ელ-ფოსტა: nbojgua@legalaid.ge

**ბათუმის ბიურო**
მის: ბათუმი, პუშკინის N145
ტელ: +995 (422) 22 24 89
მობ: +995 (595) 90 17 01
ელ-ფოსტა: izandaradze@legalaid.ge

**ოზურგეთის ბიურო**
მის: ოზურგეთი, ი ჭავჭავაძის ქ N 12 პირველი სართული
ტელ: +995 (496) 27 59 92
მობ: +995 (595) 30 88 50
ელ-ფოსტა: imemarnishvili@legalaid.ge

ელ-ფოსტა: laludauri@legalaid.ge

**შუახევის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: დაბა შუახევი, ხიმშიაშვილის ქ N2
მობ: +995 (577) 42 09 43
ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

# 1.7. იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზაციული მოწყობა




**იურიდიული დახმარების საბჭო**

სამსახურის მართვის, ფუნქციების ეფექტიანი შესრულების, სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება კოლეგიური ორგანო – იურიდიული დახმარების საბჭო.

**დირექტორი**

სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც საბჭო შეარჩევს ღია კონკურსის წესით, 5 წლის ვადით.

**აპარატი**

სამსახურის ეფექტიანი მართვის მიზნით იქმნება აპარატი, რომლის ფორმირების წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილება განისაზღვრება სამსახურის დებულებით.

**ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები**

იურიდიული დახმარების ბიურო თავისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში ახორციელებს იურიდიულ დახმარებას. იურიდიული კონსულტაცია ხორციელდება საკონსულტაციო ცენტრებში.

# 1.8. იურიდიული დახმარების საბჭო
## 9 წევრი

| ნათია ჩირიკაშვილი<br>თავმჯდომარე | თეა ჭეიშვილი<br>თავმჯდომარის მოადგილე | სოფიო ჩაჩავა | ირაკლი გვარამაძე | პავლე აბაიაძე | თამარ გვარამაძე | რამაზ ჩინჩალაძე | ზაზა ხარებავა | ფატმან არზიკიანი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი | საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი | საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი | საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი | საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი | საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი | საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი | საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელი |

**2019 წლის 18 მარტს,** იურიდიული დახმარების საბჭოს წევრებმა, საბჭოს თავმჯდომარედ 1 წლის ვადით აირჩიეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი იურიდიული დახმარების საბჭოში ნათია ჩირიკაშვილი.

# 1.9.

## იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი

### დირექტორი

### მოადგილე მონიტორინგის მიმართულებით

❖სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის სამმართველო;
❖სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების მონიტორინგის სამმართველო;

### მოადგილე განვითარების მიმართულებით

❖ ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
❖ სერვისების, პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის განვითარების განყოფილება;

### მოადგილე მხარდაჭერის მიმართულებით

❖ პროფესიული მხარდაჭერის განყოფილება;
❖ ადმინისტრაციული სამმართველო;
❖ ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;

# 1.10. იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის მოწყობა

## 2019 წელი

დირექტორის მოადგილე მხარდაჭერის მიმართულებით
დირექტორის მოადგილე განვითარების მიმართულებით
დირექტორის მოადგილე მონიტორინგის მიმართულებით

## 2020 წელი

დირექტორის პირველი მოადგილე
დირექტორის მოადგილე
დირექტორის მოადგილე

## სტრუქტურა

### 2019

- ❖ პროფესიული მხარდაჭერის განყოფილება;
- ❖ ადმინისტრაციული სამმართველო;
- ❖ ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;
- ❖ სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის სამმართველო;
- ❖ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა მონიტორინგის სამმართველო;
- ❖ ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
- ❖ სერვისების, პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის განვითარების განყოფილება;
- ❖ შიდა ინსპექტირებისა და ფინანსური აუდიტის განყოფილება.

### 2020

- ❖ ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;
- ❖ საქმისწარმოების სამმართველო;
- ❖ ფინანსური, შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო;
- ❖ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;
- ❖ შიდა აუდიტის სამმართველო;
- ❖ სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველო;
- ❖ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველო;
- ❖ მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველო;
- ❖ ანალიტიკური სამმართველო;
- ❖ იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი;
- ❖ სამდივნო;

# 1.11. იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროები

## საზოგადოებრივი ადვოკატი

| | | |
|---|---|---|
| 49 | სისხლის სამართალი | 34 |
| **თბილისი** | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 15 |
| 6 | სისხლის სამართალი | 4 |
| **მცხეთა-მთიანეთი** | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |
| 7 | სისხლის სამართალი | 5 |
| **კახეთის–თელავი** | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |
| 4 | სისხლის სამართალი | 3 |
| **კახეთის–სიღნაღი** | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 1 |
| 13 | სისხლის სამართალი | 10 |
| **ქვემო ქართლი** | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 3 |
| 6 | სისხლის სამართალი | 4 |
| **შიდა ქართლი** | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |

| | | |
|---|---|---|
| 7<br>სამცხე-ჯავახეთი | სისხლის სამართალი | 5 |
| | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |
| 7<br>იმერეთის-ზესტაფონი | სისხლის სამართალი | 5 |
| | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |
| 11<br>იმერეთის–ქუთაისი | სისხლის სამართალი | 9 |
| | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |
| 8<br>სამეგრელოს–ზუგდიდი | სისხლის სამართალი | 6 |
| | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |
| 6<br>სამეგრელოს-ფოთი | სისხლის სამართალი | 4 |
| | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |
| 11<br>აჭარა | სისხლის სამართალი | 9 |
| | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |
| 2<br>გურიის–ოზურგეთი | სისხლის სამართალი | |
| | სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი | 2 |

# 1.12. 99 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატები

| | სისხლი | სამოქალაქო/ ადმინისტრაციული |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 3 |
| მცხეთა-მთიანეთი | 3 | |
| კახეთის-თელავი | 4 | 1 |
| კახეთის-სიღნაღი | 3 | |
| ქვემო ქართლი | 9 | 3 |
| შიდა ქართლი | 4 | 1 |
| სამცხე-ჯავახეთი | 3 | |
| იმერეთის-ზესტაფონი | 5 | |
| იმერეთის-ქუთაისი | 9 | 2 |

| | | |
|---|---|---|
| სამეგრელოს-ზუგდიდი | 6 | |
| სამეგრელოს-ფოთი | 4 | 2 |
| აჭარა | 4 | |
| გურიის-ოზურგეთი | | |

# ძირითადი ნაწილი

## 2. იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობა

### 2.1. იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობის გაზრდა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა 2019 წელს გახსნა 3 ახალი საკონსულტაციო ცენტრი, 1 ბიურო და 1 დისტანციური მომსახურების ცენტრი. სამსახურის ახალი წარმომადგენლობების არჩევა განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობის მომართვიანობის, ცენტრების ადგილმდებარეობისა და აქტუალურობის გათვალისწინებით.

### 1 დისტანციური მომსახურების ცენტრი

2019 წლის 26 მაისს, უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, წეროვანის დევნილთა დასახლებაში, იურიდიული დახმარების სამსახურის დისტანციური სამართლებრივი დახმარების ოთახი გაიხსნა. წეროვანში დასახლებულ მოსახლეობას, შესაძლებლობა ექნება ონლაინ რეჟიმში მიიღოს კვალიფიციური ადვოკატის სამართლებრივი დახმარება.

გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის რეგიონული მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში ქრისტინა ბუნეა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილი, მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ირაკლი ცქიტიშვილი და ადგილობირივი მმართველობის წარმომადგენლები.

სტუმრების თანდასწრებით განხორციელდა პირველი სკაიპ-კონსულტაცია წეროვანის დასახლებიდან. ღონისძიება დასრულდა

კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფების წარმომადგენლები და ანიმატორები.

## 3 საკონსულტაციო ცენტრი

**2019 წლის 20 ივნისს,** პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი და ახმეტის მუნიციპალიტეტის 63 სოფლის/ქალაქის/დაბის 34 154 მოსახლისათვის ხელმისაწვდომი გახდა უფასო იურიდიული კონსულტაცია და კანონით დადგენილი წესით უფასო იურიდიული დახმარება.

გახსნის ღონისძიებას დაესწრო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით მათიკაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქადაგიშვილი, გაეროს ლტოლვილთა უმღლესი კომისარიატის UNHCR-ის წარმომადგენელი, უფლებადამცველები და ადგილობრივი მოსახლეობა. გახსნის ღონისძიება დასრულდა კონცერტით, სადაც გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, არასრულწლოვნებს გადაეცათ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული ბროშურები და სხვა საჩუქრები.

**2019 წლის 16 ივლისს,** შუახევის მუნიციპალიტეტში, დაბა შუახევში, გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი და შუახევის მუნიციპალიტეტში შემავალი 1 დაბისა და 67 სოფლის 15 100 მოსახლისათვის ხელმისაწვდომი გახდა უფასო იურიდიული კონსულტაცია და კანონით დადგენილი წესით უფასო იურიდიული დახმარება. გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ფრიდონ ფუტკარაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი დავითაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

**2019 წლის 25 ივლისს,** ცაგერის მუნიციპალიტეტში, გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი და ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 9 100 მოსახლისათვის ხელმისაწვდომი გახდა უფასო იურიდიული კონსულტაცია და კანონით დადგენილი წესით უფასო იურიდიული დახმარება.

ცაგერის საკონსულტაციო ცენტრის გახსნის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი, ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო კოპალიანი, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ უგრეხელიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

## 1 იურიდიული დახმარების ბიურო

**2019 წლის 19 სექტემბერს,** გურიის მხარეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ქ. ოზურგეთში, იურიდიული დახმარების სამსახურის რიგით მე-13 ბიურო გაიხსნა.

2019 წლის 19 სექტემბრიდან ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მოსახლეობას 109 400 ადამიანს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს უფასო იურიდიული კონსულტაციითა და კანონით დადგენილი წესით უფასო იურიდიული დახმარებით.

## 2.2. გასვლითი კონსულტაციები




**87**

**ქალაქი/დაბა/სოფელი**

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებმა მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების, სამახურის ხელმისაწვდომობისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, გასვლითი საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს შემდეგ სოფლებსა და ქალაქებში:**

**23 ქალაქი**

თბილისი, ფოთი, დუშეთი, ცაგერი, ოზურგეთი, საგარეჯო, ჯვარი, ნინოწმინდა, წალკა, წყალტუბო, სიღნაღი, ამბროლაური, ზუგდიდი, ჭიათურა, დედოფლისწყარო, საჩხერე, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, წნორი, აბაშა, ქუთაისი, ბაღდათი.

**64 სოფელი/დაბა**

**ვაქირი**, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, **დანისპარაული,** ხულოს მუნიციპალიტეტი, **ქვემო ჭალა,** კასპის მუნიციპალიტეტი, **გოგნა,** თერჯოლის მუნიციპალიტეტი, **ბოდბისხევი,** სიღნაღის მუნიციპალიტეტი, **ბოსლევი,** ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, **ანაგა,** სიღნაღის მუნიციპალიტეტი, **ბაზალეთი,** დუშეთის მუნიციპალიტეტი, **საღვინე,** ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, **ლია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, **ზედა საზანო,** თერჯოლის მუნიციპალიტეტი, **ერგეტა,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, **ღვანკითი,** თერჯოლის მუნიციპალიტეტი, **ფრეზეთი,** მცხეთის მუნიციპალიტეტი, **სხვიტორი,** საჩხერის მუნიციპალიტეტი, **ჩიხა,** საჩხერის მუნიციპალიტეტი, საზღვრისპირა სოფელი **ჭურანლი,** საჩხერის მუნიციპალიტეტი, **დარჩელი,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, **მერეთი,** გორის მუნიციპალიტეტი, **ზუგეული,** ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, **დაბა ასპინძა,** ასპინძის მუნიციპლაიტეტი, **დაბა ხულო,** ხულოს მუნიციპალიტეტი, **დაბა შუახევი,** შუახევის

მუნიციპალიტეტი, **დაბა ძინვალი,** დუშეთის მუნიციპალიტეტი, **დაბა სტეფანწმინდა,** ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, **უწერა,** ონის მუნიციპალიტეტი, **გლოლა,** ონის მუნიციპალიტეტი, **დაგვა,** ქობულეთის მუნიციპალიტეტი, **დაშბაში,** წალკის მუნიციპალიტეტი, **ბეშთაშენი,** წალკის მუნიციპალიტეტი, **ბაისუბანი,** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, **აფენა,** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, **მარტყოფი,** გარდაბნის მუნიციპალიტეტი, **ქვეში,** ბოლნისისი მუნიციპალიტეტი, **ფლავისმანი,** გორის მუნიციპალიტეტი, **ყინწვისი,** ქარელის მუნიციპალიტეტი, **კეხიჯვარი,** ქარელის მუნიციპალიტეტი, **ნიგაზეული,** შუახევის მუნიციპალიტეტი, **სვირი,** ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, **პირველი მაისი,** აბაშის მუნიციპალიტეტი, **სალხინო,** მარტვილის მუნიციპალიტეტი, **დიდი ჭყონი,** მარტვილის მუნიციპალიტეტი, **თემი უშგული,** მესტიის მუნიციპალიტეტი, **ზემო მაჩხაანი,** დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, **მისაქციელი,** მცხეთის მუნიციპალიტეტი, **ძეგვი,** მცხეთის მუნიციპალიტეტი, **ციხისძირი,** მცხეთის მუნიციპალიტეტი, **შამგონა,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, **ტეხურის** ყოფილი მეურნეობის დასახლება, სენაკის მუნიციპალიტეტი, **კონდოლი,** თელავის მუნიციპალიტეტი, **საქაშეთი,** გორის მუნიციპალიტეტი, **სკრა,** გორის მუნიციპალიტეტი, **შავშვები,** გორის მუნიციპალიტეტი, **ოძისი,** დუშეთის მუნიციპალიტეტი, **იორმუღანლო,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, **ურთა,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, **ხურჩა,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, **წონიარისი,** ქედის მუნიციპალიტეტი, **წეროვანი,** მცხეთის მუნიციპალიტეტი, **მუხრიანი,** მცხეთის მუნიციპალიტეტი, **სადახლო,** მარნეულის მუნიციპალიტეტი, **ფახულანი,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, **ხელვაჩაური,** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი; **აწყური,** ახმეტის მუნიციპალიტეტი.

# 32

## საჯარო სკოლა
## კოლეჯი
## უნივერსიტეტი

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებმა გასვლითი საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს შემდეგ საჯარო სკოლებში, კოლეჯსა და უნივერსიტეტებში:**

- ✓**კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის საჯარო სკოლა** - საკითხი: ქალთა უფლებები, გენდერული თანასწორობა;
- ✓**ფოთის მე-7 საჯარო სკოლა** - საკითხი: არასრულწლოვანთა უფლებები;
- ✓**ზოდბისხევის საჯარო სკოლა** - საკითხი: არასრულწლოვანთა უფლებები, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ✓**ბოსლევის საჯარო სკოლა** - საკითხი: არასრულწლოვანთა უფლებები, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ✓**ანაგის საჯარო სკოლა** - საკითხი: არასრულწლოვანთა უფლებები, იურიდიული დახმარების

სამსახურის სერვისები;

✓**ზესტაფონის #3 საჯარო სკოლა** - საკითხი: სისხლის სამართლის ზოგადი საკითხები, დანაშაულის ცნება, კატეგორიები, ნარკოტიკული დანაშაული, არასრულწლოვანთა მართლმლმსაჯულების კოდექსი, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;

✓ **ბათუმის მე-3 საჯარო სკოლა** - საკითხი: თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ცივი იარაღის ტარება, ხულიგნობა, დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, არასრულწლოვნის უფლებები და მოვალეობები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული პირის სტატუსი, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პასუხისმგებლობის ასაკი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები, ოჯახში ძალადობის საკითხები, მსხვერპლთა უფლებები, მათი დაცვის და მოძალადისაგან განრიდების საშუალებები და მექანიზმები, შემაკავებელი და დამცავი ორდერის მნიშვნელობა, ვადები, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების როლი და ფუნქციება.

✓ **თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითის საჯარო სკოლა** - საკითხი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;

✓**ზესტაფონის მე-6 საჯარო სკოლა** - საკითხი: დანაშაულის კატეგორიები, ნარკოტიკული დანაშაული, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ზოგადი პრინციპები;

✓**საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხას საჯარო სკოლა** - საკითხი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;

✓**საგარეჯოს #1 საჯარო სკოლა** - საკითხი: არასრულწლოვანთა უფლებები;

✓**აბაშის #1 საჯარო სკოლა** - საკითხი: ნარკოტიკული დანაშაული, ოჯახში ძალადობა, ნაადრევ ქორწინება და მშობლებისა და შვილების ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები;

✓**სიღნაღის ძველი ანაგის სკოლა** - საკითხი: ბულინგი, არასრულწლოვანთა უფლებები;

✓**კონდოლის საჯარო სკოლა** - საკითხი: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებები, ნაადრევ ქორწინება, არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივ დანაშაული, არასრულწლოვანთა შრომის უფლებები, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი;

✓**ახალციხის #6 საჯარო სკოლა -** საკითხი: ბულინგი და ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო რეგულაციები, ფილმის ჩვენება: „დაამარცხე ბულინგი“.

✓**ზესტაფონის N 5 საჯარო სკოლა -** საკითხი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მშობლების უფლებები.

✓**სოფელ მერეთის საჯარო სკოლა -** საკითხი: ოჯახური ძალადობა, გენდერული საკითხები, იურიდიული სამსახურის სერვისები;

✓**ახალციხის #1 საჯარო სკოლა -** საკითხი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

✓**ქალაქ ფოთის მე-5 საჯარო სკოლა -** საკითხი: არასრულწლოვნის დაცვა მავნე ზეგავლენისაგან (თამბაქო, ალკოჰოლი, აზარტული თამაშები და ა.შ), სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისმგებლობის საკითხები, ნარკოტიკული დანაშაული.

✓**ზუგდიდის მინიციპალიტეტის სოფელ ურთას საჯარო სკოლა -** საკითხი: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, დანაშაულის ცნება, სახეები, არასრულწლოვანის

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, უფლებები, განრიდება-მედიაცია, ნარკოტიკული დანაშაული, ბულინგი.

✓**თბილისის #69-ე საჯარო სკოლა** - საკითხი: ტოლერანტობა, ბულინგი, არასრულწლოვანთა კოდექსი, ბავშვთა უფლებები;

✓**მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ მუხრანის #1 საჯარო სკოლა** - საკითხი: არასრულწლოვანის მართლმსაჯულება, სექსუალური შევიწროვება;

✓**ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საჯარო სკოლა** - საკითხი: ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკი, ნარკოტიკული დანაშაული, დანაშაულში თანამონაწილეობა, არასრულწლოვანი დაზარალებულის უფლებები.

✓**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანის #2 საჯარო სკოლა** - საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება, სოციალური დახმარების პროგამები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ბულინგი, მხარდამჭერის მიმღებად ცნობის საკითხები, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის საკითხები, პენსიის დანიშვნა და მემკვიდრეობა.

✓**გორის მე-12 საჯარო სკოლა** - საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა.

✓**კოლეჯი „ლაკადა“, დაბა ჯვარი** - საკითხი: ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა;

✓**საზოგადოებრივი კოლეჯის "მერმისი"** - საკითხი: შრომის კანონმდებლობა, დასაქმების საკითხები, ბიზნესს დაწყების გზები;

✓**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** - საკითხი: ემიგრანტთა სტატუსი და უფლებები, ემიგრანტებისათვის სამსახურის დისტანიური სამართლებრივი დახმარების სერვისი, უფასო სამართლებრივი დახმარების გამწევი ორგანიზაციის სერვისები, დახმარების მიღების კრიტერიუმები და პირობები;

✓**ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი** - საკითხი: სექსუალური შევიწროება და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები;

✓**თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი** - საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, არასრულწლოვანთა უფლებები, სექსუალური შევიწროება და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები;

✓**საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი** - საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, არასრულწლოვანთა უფლებები, სექსუალური შევიწროება და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები;

✓**შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი** - საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, არასრულწლოვანთა უფლებები, სექსუალური შევიწროება და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები;

# 20

## დევნილთა
## ლტოლვილთა დასახლება

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების**

**თანამშრომლებმა გასვლითი საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს დევნილთა და ლტოლვილთა შემდეგ დასახლებებში:**

- ✓ **ბაზალეთის დევნილთა კომპაქტური დასახლება,** საკითხი: ქალთა უფლებები;
- ✓ **თერჯოლის ლტოლვილთა დასახლება,** საკითხი: ქალთა უფლებები;
- ✓ **ფრეზეთის დევნილთა ჩასახლება,** საკითხი: ქალთა უფლებები;
- ✓ **ფოთის 201-ე ქარხნის დევნილთა დასახლება,** საკითხი: ქალთა უფლებები;
- ✓ **აბაშის პროფესიული სასწავლებლის დევნილთა დასახლება,** საკითხი: ქალთა უფლებები, სოციალურად დაუცველთა ბაზაში მინიჭებული ქულის გასაჩივრება, დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებლის გამოყოფის საკითხები;
- ✓ **სკრას დევნილთა ჩასახლება,** საკითხი: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, ქალთა უფლებები, უძრავი ქონების რეგისტრაცია, განკარგვა, სოციალური დახმარებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა პროგრამებით სარგებლობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაცია, პენსიის დანიშვნა;
- ✓ **საქაშეთის დევნილთა ჩასახლება,** საკითხი: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, ქალთა უფლებები, უძრავი ქონების რეგისტრაცია, განკარგვა, სოციალური დახმარებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა პროგრამებით სარგებლობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაცია, პენსიის დანიშვნა;
- ✓ **შავშვების დევნილთა ჩასახლება,** საკითხი: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, ქალთა უფლებები, უძრავი ქონების რეგისტრაცია, განკარგვა, სოციალური დახმარებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა პროგრამებით სარგებლობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაცია, პენსიის დანიშვნა;
- ✓ **ბაღდათის დევნილთა ჩასახლება,** საკითხი: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, ქალთა უფლებები, უძრავი ქონების რეგისტრაცია, განკარგვა, სოციალური დახმარებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა პროგრამებით სარგებლობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაცია, პენსიის დანიშვნა;
- ✓ **წყალტუბოს დევნილთა ჩასახლება,** საკითხი: ქალთა უფლებები, ოჯახში ძალადობა;
- ✓ **გლდანში მცხოვრები დევნილები,** საკითხი: ქალთა უფლებები, ოჯახში ძალადობა;
- ✓ **ჭიათურაში მცხოვრები დევნილები,** საკითხი: ქალთა უფლებები, ოჯახში ძალადობა;
- ✓ **მარტყოფის ჰუმანიტარული სტატუსის ლტოლვილთა თავშესაფარი,** საკითხი: ქალთა უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- ✓ **ქალაქ ფოთში ნანავას ქუჩაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველ ოჯახები,** საკითხი: პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მხარდაჭერის დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები, უძრავი ქონების რეგისტრაცია, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია-შეჩერება-აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები, შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემა, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის დაცვა;
- ✓ **სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება** (თავშესაფარი), საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა.
- ✓ **აბაშის პროფ/სასწავლებელში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები,** საკითხი: ქალთა უფლებები, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მინიჭებული ქულის გასაჩივრებასთან დაკავშირებული საკითხები, დევნილი ოჯახებისათვის გადაცემული საცხოვრებლის დაკანონება;

- ✓ **ზუგდიდის მუნიციპალტეტის სოფ. შამგონაში მცხოვრები დევნილები,** საკითხი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა, მიწის, უძრავი ქონების რეგისტრაცია, მხარდამჭერის მიმღებად ცნობის საკითხები, სოციალური დახმარება და პროგრამები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის და პენსიის დანიშვნის საკითხები, მემკვიდრეობა.
- ✓ **ქ. ზუგდიდის სოციალურ სახლში მცხოვრები დევნილები,** საკითხი: უფასო სამართლებრივი დახმარების სერვისები, ქალთა მიმართ ძალადობა, სექსუალური შევიწროება და ოჯახში ძალადობა.
- ✓ **კონფლიქტის ზონიდან 100 -მეტრში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში მცხოვრები დევნილები,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება.
- ✓ **ქ. ბორჯომში ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილები,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, მიღების პირობები, ქალთა უფლებები.

# 4

## მიგრანტები
## თავშესაფრის მაძიებლები
## სოციალურად დაუცველი პირები
## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებმა გასვლითი საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს მიგრანტებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან:**

- ✓ **სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი,** საკითხი: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- ✓ **მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი,** საკითხი: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- ✓ **საჩხერის ააიპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანადგომა-ინტეგრაცია,** საკითხი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონითა და გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები;
- ✓ **ფოთის სოციალურად დაუცველ პირთა დასახლება,** საკითხი: პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მხარდაჭერის დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები, უძრავი ქონების რეგისტრაცია, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია-შეჩერება-აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;

# 3

## საბავშვო ბაღი

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებმა გასვლითი საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს შემდეგ საბავშვო დაწესებულებებში:**

- ✓ **ფოთის #3 საბავშვო ბაღი** (ფონდი „სოხუმის“ორგანიზებით და სოციალური მუშაკის, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის მონაწილეობით), საკითხი: ქალთა უფლებები, ბავშვის გარემო, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა;
- ✓ **ფოთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრი,** (მონაწილეები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები და პედაგოგები), საკითხი: პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა და მხარდაჭერის დანიშვნა, მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ ამბულატორიული, სასამართლო-ფსიქოსოციალური ექსპერტიზის ჩატარება;
- ✓ **სოფელ დაგვას საჯარო ბაღი,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, მიწის რეგისტრაციის წესი, ქალთა უფლებები, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობისაგან დაცვა, შემაკავებელი და დამცავი ორდერების მნიშვნელობა და გამოცემის წესები;

# 3

## განათლების ცენტრი

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებმა გასვლითი საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს შემდეგ განათლების ცენტრებში:**

- ✓ **ახმეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი,** საკითხი: არასრულწლოვანთა უფლებები;
- ✓ **ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი** საკითხი: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- ✓ **ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი,** საკითხი: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

# 13

## მერია
## მუნიციპალიტეტი
## სააგენტოები
## ბიბლიოთეკა

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებმა გასვლითი საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს შემდეგ ადგილობრივ ორგანოებში:**

- ✓ **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- ✓ **შუახევის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, მიწის რეგისტრაცია;
- ✓ **წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, მიგრანტთა უფლებები;
- ✓ **დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია,** საკითხი: დასაქმება, ბიზნესის დაწყება;
- ✓ **სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილება,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, მიწის რეგისტრაცია;
- ✓ **ნინოწმინდის სოციალური მომსახურების სააგენტო,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ✓ **ამბროლაურის სოციალური მომსახურების სააგენტო,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, სოციალური შემწეობის დანიშვნის, შეწყვეტის პრობლემატიკა;
- ✓ **ამბროლაურის სარეგისტრაციო სამსახური,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ქალთა და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- ✓ **დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტო**, საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ✓ **სიღნაღის მუზეუმი,** საკითხი: იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ✓ **ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკა,** საკითხი: შრომის უფლებები, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შვებულება და შრომის ანაზღაურება;
- ✓ **ზესტაფონის ჯანდაცვის საზოგადოებრივი ცენტრი,** საკითხი: ქალთა უფლებები, სექსუალური შევიწროების სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები.
- ✓ **წეროვანის გამგეობის თანამშრომლები,** საკითხი: სექსუალური შევიწროვება, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელების მექანიზმები, დამრღვევ პირთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები და მსხვერპლთა უფლებები.

# 42

## შეხვედრა მოსახლეობასთან

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებმა გასვლითი საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს მოსახლეობასთან შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:**

- ✓ იურიდიული დახმარების სამსახური და მისი სერვისები;
- ✓ მიწისა და უძრავი ქონების რეგისტრაცია - სისტემური და სპორადული რეგისტრაცია;
- ✓ საკუთრების უფლების წარმოშობა;
- ✓ მემკვიდრეობა და მემკვიდრეთა უფლებები;
- ✓ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა და მხარდამჭერის დანიშვნის წესი და პროცედურები;
- ✓ საბანკო ვალდებულებები;

- ✓ სოციალური უფლებები;
- ✓ სოციალური პროგრამები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები;
- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები;
- ✓ ქალთა უფლებები;
- ✓ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- ✓ მოქალაქეობის მოპოვების საკითხები;
- ✓ ემიგრაცია, იმიგრაცია და მიგრანტთა უფლებები;
- ✓ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ჯარიმები;
- ✓ სახელშეკრულებო უფლებები და ვალდებულებები;
- ✓ საკრედიტო ვალდებულებები;
- ✓ ბიზნესის დაწყების შესაძლებლობები;
- ✓ დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი და პროცედურები;
- ✓ თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრების როლი და ფუნქციები;
- ✓ ბულინგი და ბავშვთა უფლებები;
- ✓ ნაადრევი ქორწინებისა და მშობლისა და შვილის უფლებები;
- ✓ არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი დანაშაულები;
- ✓ სექსუალური შევიწროება;
- ✓ დევნილთა უფლებები;
- ✓ თანასწორობის უფლება;
- ✓ სამეზობლო დავები;
- ✓ და ა.შ.

# 3. იურიდიული დახმარების სამსახურის ცნობადობა

## 3.1. საზოგადოებრივი აქტივობები




სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით სამსახურის დირექტორმა, დირექტორის მოადგილეებმა, აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ საზოგადოებრივ აქტივობაში, რა დროსაც ღონისძიების მონაწილეებს და მოსახლეობას მათთვის აქტუალურ სამართლებრივ საკითხებთან ერთად მიაწოდეს ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურისა და მისი სერვისების შესახებ.

### „8 მარტის კამპანია“

**2019 წლის 7 მარტს,** ქ. ბათუმის საბავშვო ბაღის პედაგოგებისა და დევნილი მშობლებისათვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა.

**2019 წლის 8 მარტს,** ქალთა უფლებების დაცვის დღეს, სოციალური მედიის საშუალებით, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა გაავრცელა მიმართვა, რომელიც მოიცავდა როგორც პირად, ასევე სამსახურის მანდატიდან გამომდინარე მიდგომებს ქალთა უფლებების დაცვის მიმიართულებით, სტატისტიკურ მონაცემებს ქალი ბენეფიციარების შესახებ, ინფორმაციას სამსახურში არსებული გენდერული ბალანსის შესახებ. მიმართვაში აღინიშნა, რომ იურიდიული დახმარების სამსახურში გენდერული ბალანსი სწორედ ქალების სასარგებლოდ არის დაცული. დასაქმებულთა 55% მდედრობითი სქესის წამომადგენელია. დაარსების დღიდან იურიდიული დახმარების საბჭოს ხელმძღვანელობენ ქალბატონები. თორმეტი რეგიონული ბიუროდან ოთხ ბიუროს ხელმძღვანელობს ქალბატონი. 2014 წლიდან დღემდე იურიდიული დახმარების სამსახურმა სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში დაიცვა 10 000-მდე ქალის ინტერესი, ხოლო კონსულტაცია გაუწია 60 000-მდე ქალს;

**2019 წლის 12 მარტს,** იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრმა ფატმან არზიკიანმა ტელეკომპანია "იმედის" გადაცემაში - ოლგა ბაბლუანის შოუ "რა დროს ძილია" ისაუბრა გენდერულ ბალანსზე და ქალთა უფლებებზე.

**2019 წლის 12 მარტს,** დუშეთის რაიონში, სოფელ ოძისში მოსახლეობისათვის გაიმართა საინფორმაციო შეხედრა ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე.

**2019 წლის 14 მარტს,** რუსთავის ქალთა კოლონიაში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა მსჯავრდებული ქალებისათვის წარადგინეს პრეზენტაცია თემაზე: ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა.

**2019 წლის 14 მარტს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა, თბილისის # 5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში, მსჯავრდებული ქალებისათვის წარადგინეს პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებს, შესაბამის სტატისტიკას და იმ სერვისებს, რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახური და სხვა სახელმწიფო უწყებები სთავაზობს ძალადობის მსხვერპლებსა და სავარაუდო მსხვერპლებს.

**„გაითავისე თანასწორობა, აშენე ჭკვიანურად, გამოიყენე ინოვაცია ცვლილებებისთვის“**

**2019 წელს** იურიდიული დახმარების სამსახური შეუერთდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კამპანიას „გაითავისე თანასწორობა, აშენე ჭკვიანურად, გამოიყენე ინოვაცია ცვლილებებისთვის“.

კამპანიის ფარგლებში, სოციალური მედიით და საინფორმაციო არხებით გავრცელდა ვიდეო რგოლი, რომელშიც დაინტერესებულ პირებს იურიდიული დახმარების სამსახური სთავაზობს სპეციალიზებული ადვოკატების მიერ უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დროს.

- ✓ **2019 წლის 8-21 მარტს,** ვიდეო რგოლი გავრცელდა ტელეკომპანია „ტვ-1“-ის მიერ;
- ✓ **2019 წლის 3-17 ივლისს** - საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ;
- ✓ **2019 წლის 12-20 ოქტომბერს** - ტელეკომპანია „ჯიდიესის“ მიერ;

**ვიდეო რგოლი:**
http://www.legalaid.ge/ka/p/3/video-gallery

## „სახელმწიფო სერვისები გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელები სთვის“

**2019 წლის 20 მარტს,** იურიდიული დახმარების სამსახურის მარნეულის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტმა მონაწილეობა მიიღო „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, თემაზე - „სახელმწიფო სერვისები გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისთვის“. შეხვედრაზე განხილულ იქნა ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებით.

## 9 აპრილი

**2019 წლის 9 აპრილს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მოინახულეს 9 აპრილის ტრაგედიის ადგილი და პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

## “სეუს დასაქმების ფორუმი 2019”

**2019 წლის 17 აპრილს,** იურიდიული დახმარების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო “სეუს დასაქმების ფორუმში 2019” და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამსახურში დასაქმების პირობები, კრიტერიუმები და კონკურსების შესახებ ინფორმაცია.

## ბავშვთა შრომის აკრძალვის მსოფლიო დღე

**2019 წლის 12 ივნისს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა, საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს მოსახლეობისათვის ქუთაისის ცენტრალურ პარკში ბავშვთა უფლებების თემაზე.

## "მომავლის ბანაკის" გახსნა

**2019 წლის 27 ივნისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი იურიდიული დახმარების სამსახურსა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ანაკლიაში ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის "მომავლის ბანაკის" გახსნას დაესწრო. ბანაკის გახსნის ღონისძიება, რომელშიც ასეულობით მოზარდი მონაწილეობდა, საქართველოს ეროვნული ჰიმნით, სახელმწიფო დროშის აღმართვითა და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

## „ევროპის დღე“

**2019 წელს** იურიდიული დახმარების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის (Council of Europe) პროექტში „ევროპის დღე“, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში აღინიშნა. სამსახურის სპეციალური კუთხე წარმოდგენილი იყო მესტიაში, ახალქალაქსა და ოზურგეთში, სადაც ღონისძიების სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ უფასო სამართლებრივი დახმარების სერვისებს, მიეღოთ სასარგებლო ინფორმაციის შემცველი ტრიპლეტები და სხვა საჩუქრები.

✓ **2019 წლის 22 ივნისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის მესტიის საკონსულტაციო ცენტრისა და სამეგრელოს-ზუდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში "ევროკავშირი სვანეთში". სეტის მოედანზე წარმოდგენილ ექსპოზიციაზე, სტუმრებს - ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებს, საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობას, სერვისებს და მიეღოთ კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე.

✓ **2019 წლის 24 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროსა და ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობა და სერვისები და გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაციები. მოსახლეობას გადაეცა ევროკავშირისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით მომზადებული იურიდიული დახმარების სამსახურის საინფორმაციო ბროშურები ქართულ და სომხურ ენებზე.

✓ **2019 წლის 13 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის გურიის-ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ოზურგეთში გამართულ ღონისძიებაში და ღონისძიების სტუმრებს, მათ შორის, ევროკავშირის ელჩს - კარლ ჰარცელს, მიაწოდეს ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის და მისი მომსახურების სპეციფიკის, უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმებისა და პირობების შესახებ.

## "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მიღების დღე

**2019 წლის 2 ივლისს,** "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მიღების დღეს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და სამსახურის აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების წარმომადგენლებმა, საინფორმაციო, შეხვედრა გამართეს ზუგდიდში, დადიანების სასახლის ეზოში. შეხვედრაზე მოწვეულ ადგილობრივ მოსახლეობას, საჯარო უწყებების წარმომადგენლებსა და ახალგაზრდობას წარედგინათ სამსახურის ახალი პროექტები: „გაიგე მეტი მიგრაციის შესახებ“ და „შენი უფლება 18 წლამდე“. მოზარდებისათვის გაიმართა გასართობი ღონისძიება ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით.

## სატელევიზიო და რადიო გადაცემები

**2019 წლის 14 მარტს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა თამარ ობოლაძემ ტელეკომპანია "მეგატივის" გადაცემაში "შუადღე ქუთაისში", ისაუბრა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ;

**2019 წლის 24 მარტს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა გელა სიორდიამ მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში "დაგროვებითი პენსია".

**2019 წლის 7 მაისს,** იმერეთის-ქუთისის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტმა ბელა ჭყონიამ ტელეკომპანია "მეგატივის" გადაცემაში "შუადღე ქუთაისში" ისაუბრა "სექსუალური შევიწროების შესახებ" საქართველოს კანონზე და პირველი აპრილიდან მძღოლებისათვის დაწესებული ახალი რეგულაციების შესახებ.

**2019 წლის 28 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი ესტუმრა გადაცემას „ახალი დღე“ და ისაუბრა იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობასა და დისტანციური სამართლებრივი დახმარების სერვისზე.

**2019 წლის 14 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა საზოგადოებრივი რადიოს ეთერში, გადაცემაში "ღია სტუდია" ისაუბრა უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ, ასევე სამსახურის ახალ პროექტებზე, მათ შორის, ემიგრანტებისათვის განკუთვნილი დისტანციური სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობებზე.

**2019 წლის 22 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა „რადიო იმედის“ ეთერში ისაუბრა დისტანციური სამართლებირივი დახმარების სერვისზე ქართველი ემიგრანტებისათვის.

**2019 წლის 2 დეკემბერს,** იურიდული დახმარების სამსახურის ანალიტიკური მიმართულებისა და პროფესიული განვითარების მენეჯერმა დავით სიმონიამ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის“ წარმომადგენელთან ერთად „რადიო იმედის“ ეთერში ისაუბრა მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსზე.

**2019 წლის 11 დეკემბერს,** იურიდული დახმარების სამსახურის ანალიტიკური მიმართულებისა და პროფესიული განვითარების მენეჯერმა დავით სიმონიამ, „რადიო კომერსანტის“ გადაცემაში ისაუბრა სტუდენტთა სტაჟირების პროგრამასა და სამსახურის ახალ პროექტზე „გაიგე მეტი მიგრაციის შესახებ“.

**2019 წლის 22 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა „ქართულ კვირაში“ ისაუბრა საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის იურიდიული დახმარების სამსახურის დისტანციური სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობებზე.

**2019 წელს,** მომზადდა პროექტი - რუბრიკა **„პირადი იურისტი“**, რომელიც ტელეკომპანია „პოსტივის“ დილის გადაცემაში 2020 წლიდან ყოველკვირეულად გადაიცემა და მასში მონაწილეობას მიიღებენ იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები. ისინი პირდაპირ ეთერში უპასუხებენ მაყურებლის კითხვებს.

## გლობალური კამპანია "ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ"

**2019 წლის 24-27 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო წინანდალში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ინიციატივითა და მხარდაჭერით, ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაში სექსუალური შევიწროების შესახებ, რომელიც გაიმართა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის წევრი ორგანიზაციების საკომუნიკაციო ჯგუფის წევრებისთვის. შეხვედრაზე განიხილეს სექსუალური შევიწროების ძირითადი კონცეფცია ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების მიხედვით და დაიგეგმა "ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ" მიმართული გლობალური კამპანიის აქტივობები.

**აქტივობის ფარგლებში:**

✓ **2019 წლის 25 ნოემბერს,** სოციალური მედიის საშუალებით გავრცელდა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის, რაჟდენ კუპრაშვილის განცხადება, სადაც დაგმობილია სექსუალური შევიწროება და მითითებულია იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ იურიდიული დახმარების გაწევის პირობები.

✓ **მომზადდა სპეციალური პრეზენტაცია -** „სექსუალური შევიწროება“, და იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების მიერ ორგანიზებული გასვლითი კონსულტაციებისას წარედგინა ადგილობრივ მოსახლეობას.

✓ სამსახურის მიერ მომზადდა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის დახმარებით (UN Women) **დაიბეჭდა ტრიპლეტი** „სექსუალური შევიწროება ძალადობაა“, რომელიც გავრცელდა მოსახლეობაში სამსახურის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო გასვლით შეხვედრებზე.

✓ **2019 წლის 25 ნოემბერს,** კახეთის-სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა საქართველოს სახალხო დამცველისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად გამართეს შეხვედრა საგარეჯოში სოფელ იორმუღანლოში დევნილებთან, რომლებსაც გააცნეს ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის, მომსახურების პირობების შესახებ, ასევე ქალთა უფლებებსა და ოჯახურ ძალადობაზე.

✓ **2019 წლის 27 ნოემბერს,** იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა ააიპ ზესტაფონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში გამართეს კონსულტაციები ქალთა უფლებებზე.

✓ **2019 წლის 27 ნოემბერს,** სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა გამართეს საკონსულტაციო შეხვედრა სოფელ ურთას საჯარო სკოლაში, თემაზე: ქალთა უფლებები, დანაშაულის ცნება, სახეები, არასრულწლოვანის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, არასრულწლოვანთა უფლებები, განრიდება-მედიაცია, ნარკოტიკული დანაშაული, ბულინგი, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობის საკითხები, სექსუალური შევიწროება.

✓ **2019 წლის 27 ნოემბერს**, სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა გამართეს შეხვედრა ზუგდიდის სოციალურ სახლში. დევნილებს მიეწოდათ ინფორმაცია ქალთა უფლებებისა და ოჯახური ძალადობის ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობისა და მომსახურების პირობების შესახებ.

✓ **2019 წლის 28 ნოემბერს,** აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა და შუახევის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტმა საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს ქედის მუნიციპალიტეტში სოფელ წონიარისში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობასთან სექსუალური შევიწროვების თემაზე.

✓ **2019 წლის 28 ნოემბერს,** მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს წეროვანის დევნილთა დასახლებაში სექსუალური შევიწროვების საკითხებზე.

✓ **2019 წლის 29 ნოემბერს,** კახეთის-სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა საქართველოს სახალხო დამცველისა და სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომლებთან ერთად, გამართეს საკონსულტაციო შეხვედრა წნორში, „ცოდნის კაფეში“ თემაზე: სექსუალური შევიწროვება.

✓ **2019 წლის 29 ნოემბერს,** სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა ფონდ „სოხუმთან“ ერთად, გამართეს შეხვედრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ხურჩაში მცხოვრები ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობისათვის ქალთა უფლებებისა და ოჯახური ძალადობის შესახებ. შეხვედრის მონაწილეებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობისა და მომსახურების პირობების შესახებ.

✓ **2019 წლის 3 დეკემბერს,** სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს აბაშის საგანამანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებთან და აბაშის საჯარო სკოლის დირექტორებთან სექსუალური შევიწროვების საკითხებზე.

✓ **2019 წლის 4 დეკემბერს,** მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დხმარების ბიუროს

თანამშრომლებმა საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს მუხრანის #1 სკოლაში სექსუალური შევიწროვების თემაზე.

✓ **2019 წლის 4 დეკემბერს,** ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს სოფელ სადახლოში სექსუალური შევიწროვებისა და ადრეული ქორწინების საკითხებზე.

**2019 წლის 5 დეკემბერს,** სამცხე–ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები შეხვდნენ ქ. ახალციხეში, სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და გააცნეს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროვების საკითხები ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები.

✓ **2019 წლის 6 დეკემებრს**, გურიის-ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლების, ოზურგეთში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლების და ოზურგეთის მუნიციპლიტეტის ადმინისტრაციაში დასაქმებული პირების მონაწილეობით გამართეს შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც დამსწრე საზოგადოებას ბიუროს თანამშრომლებმა მიაწოდეს ინფორმაცია სექსუალური შევიწროვების საკითხებზე.

✓ **2019 წლის 6 დეკემბერს,** თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სექსუალური შევიწროვების საკითხებზე.

✓ **2019 წლის 9 დეკემბერს,** თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს მარტყოფის თავშესაფრის ბენეფიციარებთან, სექსუალური შევიწროვების თემაზე.

✓ **2019 წლის 10 დეკემბერს,** სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა, სსიპ ადამიანითა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და არასამთავრობო სექტორი. შეხვედრაზე ბიუროს თანამშრომლებმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე და

იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებზე.

✓ **2019 წლის 10 დეკემბერს,** შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს გორის მე-12 საჯარო სკოლაში სექსუალური შევიწროვების საკითხებზე.

✓ **2019 წლის 11 დეკემბერს,** სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა, ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამართეს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრა სექსუალური შევიწროვების საკითხებზე.

✓ **2019 წლის 28 დეკემბრს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტებისათვის გამართეს შეხვედრა, სექსუალური შევიწრვების საკითხებზე.

## „განათლება დასაქმებისთვის" (SKILLS4JOBS)

**2019 წლის 9 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის წარმომადგნელობის მიწვევით, მონაწილეობა მიიღო პროგრამა „განათლება დასაქმებისთვის" (Skills4Jobs) მეორე ფაზის ოფიციალურ გახსნაში. ღონისძიების მონაწილეებმა დაათვალიერეს გლდანის პროფესიულ კოლეჯში გამართული გამოფენა და შეხვდნენ კოლეჯის ხელმძღვანელებს. საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს სამსახურის წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია ბიზნესის წამოწყების, ბიზნეს-პროექტების მომზადების და დასაქმების საკითხებზე.

## ქართული ადვოკატურა 100 წლისაა

**2019 წლის 8 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი, დირექტორის მოადგილეები და სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ ქართული ადვოკატურის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ და ევროსაბჭოს (Council of Europe) მხარდაჭერით ჩატარებულ ღონისძიებას.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ადვოკატთა მე-7 საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 400-ზე მეტმა დელეგატმა მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნიდან. კონფერენციაზე განიხილეს ადვოკატთა დამოუკიდებლობის, სასამართლოსთან დიალოგისა და ეთიკური შეზღუდვების საკითხები სოციალურ მედიაში.

## „ადამიანის უფლებების ფესტივალი"

**2019 წლის 10 დეკემბერს,** ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის ინიციატივით „თბილისი-მოლში" გამართულ „ადამიანის უფლებების ფესტივალში". სამსახურის ორგანიზებით, დამსწრე საზოგადოებისთვის ჩატარდა ვიქტორინა, რომლის მონაწილეებმაც შეავსეს კითხვარი საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის

შესახებ. გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

**2019 წლის 10 დეკემბერს,** ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში, საინფორმაციო ტრენინგი ჩაატარეს ახალგაზრდებისათვის თემაზე: ,,ადამიანის უფლებები და თავისუფლებები".

## ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდასაჭერი აქცია

**2019 წლის 19 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი და თანამშრომლები შეუერთდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სოლიდარობის აქციას ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდასაჭერად. შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა ქეთევან გაგოევამ ოსურ ენაზე მიმართა ოს ადვოკატებსა და ადამიანის უფლებადამცველებს, რათა გაკეთდეს ყველაფერი უკანონო პატიმრობაში მყოფი ექიმის გასათავისუფლებლად.
ადვოკატებმა მიმართეს უფლებადაცველებსა და რუს კოლეგებს მხარი დაუჭირონ ექიმის გათავისუფლებას.

# 3.2. საქველმოქმედო აქტივობები

4

აქცია

**სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, დირექტორის მოადგილეებმა, აპარატის, ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საქველმოქმედო აქტივობებში:**

## სისხლის დონაციის აქცია

**2019 წლის 7 მარტს,** თბილისის იურიდილი დახმარების ბიუროში ჩატარდა სისხლის დონაციის აქცია. შპს "სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური", რომელიც საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი სისხლის ბანკია, სისხლის ჩასაბარებლად ესტუმრა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს.

## ვიზიტი წმინდა გიორგი მთაწმინდელის დედათა მონასტერთან არსებულ თავშესაფარში

**2019 წლის 1 ივნისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი და აპატარისა და ბიუროების წარმომადგენლები, საქველმოქმედო მიზნით, ესტუმრნენ ძეგვში მდებარე წმინდა გიორგი მთაწმინდელის დედათა მონასტერთან არსებულ თავშესაფარს. აქციის ფარგლებში თავშესაფრის ბინადრებს გადაეცათ საკვები, სათამაშოები და სხვა საჭირო ნივთები.

## „სოციალური რეფორმებისათვის“

**2019 წლის 27 ივნისს,** საქველმოქმედო აქციის ფარგლებში სამგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა კოალიცია „სოციალური რეფორმებისათვის“ ფოთის ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელებს გადასცეს საკვები და სათამაშოები. ბიუროს თანამშრომლებს თან ახლდათ ანიმატორები, რომლებმაც ბავშვებისათვის გამართეს გასართობი ღონისძიება.

## ვიზიტი ფოთის დღის

**2019 წლის 1 აგვისტოს,** სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა საქველმოქმედო აქცია

## ცენტრში

ჩაატარეს ფოთში არსებულ დღის ცენტრში და ცენტრის პატარა ბენეფიციარებს  გადასცეს საჩუქრები და სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით მოახერხეს მათი გახალისება.

# 3.3. სამართლებრივი აქტივობები

7

აქტივობა

## უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ საკომიტეტო მოსმენებში მონაწილეობა

**2019 წელს** იურიდიული დახმარების სამსახური მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გამართულ საკომიტეტო მოსმენებში.

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და დირექტორის მოადგილეებმა ნინო მელაძემ და სულხან გველესიანმა შეკითხვები დაუსვეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს:

> თამარ ალანიას, მერაბ გაბინაშვილს, თამარ ზამბახიძეს, შალვა თადუმაძეს, ზაზა თავაძეს, ნუგზარ სხირტლაძეს, ლალი ფაფიაშვილს, ქეთევან ცინცაძესა და ალექსანდრე წულაძეს.

**კითხვები შეეხებოდა:** მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, სასამართლოს გადაწყვეტილებების საჯაროობას, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ეთიკის საკითხებს, კანონის სამართლიანად განმარტების, მოსამართლის მიუკერძოებლობის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, ადვოკატის საქმეში ჩართვისა და სასამართლოს მიერ მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებს, ასევე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობებს და სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლების წესს, უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობას, მხარეთა თანასწორობას, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების სტანდარტს და მედიაციის როლს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაში, გენდერულ კვოტირებას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიუკერძოებლობას, აცილებას, სწრაფ მართლმსაჯულებას, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას და სამართლიანობას, ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში ინკვიზიციური და შეჯიბრებითობის პრინციპების ურთიერთმიმართებას, საჯარო სამსახურში რელიგიური სიმბოლოების ტარებას, სასწავლო აუდიტორებში ვიდეომონიტორინი, ჟურნალისტური წყაროს დაცვის ვალდებულებას, წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას,

სისხლის სამართლის კანონის უკუძალას, სამართლიანობასა და აბსოლუტური ჭეშმარიტების საკითხს, სოციალური სახლმწიფოს პრინციპს, დემოკრატიული მმართველობის ხარვეზებს, სიცოცხლის უფლების შეზღუდვას სხვათა დასაცავად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საკითხებს, სიძულვილის ენას და რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას, პედაგოგიურ საქმიანობას, ლიბერალიზმს და სასჯელის ზომებს.

## კონფერენცია „დამოუკიდებელი შეფასება - პირველადი მიგნებები“ (INDEPENDENT EVALUATION - PRELIMINARY FINDINGS)

**2019 წლის 27 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს UNPSD-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში თემაზე: „დამოუკიდებელი შეფასება - პირველადი მიგნებები“ (INDEPENDENT EVALUATION -PRELIMINARY FINDINGS), კონფერენციაზე განიხილეს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები, მეთოდოლოგია და პროგრესი.

## „სამართლის მართლმსაჯულების დღე”

**2019 წლის 18 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში სისხლის „სამართლის მართლმსაჯულების დღე“, რომელიც ორგანიზებული იყო კოალიცია „დამოუკიდებელი, გამჭვირვალე საქართველოს“, ფონდი „ღია საზოგადოება“ და USAID-Prolog-ის მიერ.

კონფერენციის მომხსენებელთა შორის იყვნენ: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და კონსტიტუციის 42-ე მუხლის წარმომადგენლები.

კონფერენციაზე დამსწრეებმა იმსჯელეს საგამოძიებო სისტემის რეფორმაზე, მოსამართლის როლზე სისხლის სამართლის პროცესში და საპროცესო შეთანხმებაზე, საქართველოში ნარკოპოლიტიკაზე, სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ დანაშაულზე, სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლების პრობლემურობაზე გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

## არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის რეფორმა

**2019 წლის 25 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და დირექტორის მოადგილემ ირაკლი შონიამ მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გამართულ სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რომელმაც დასახა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრივ, უმოკლეს დროში გადასაჭრელი ამოცანები, მათ შორის ყველა არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმისთვის სახელმწიფოს ხარჯზე სავალდებულო წესით ადვოკატის მონაწილეობის საკითხი.

იურიდიული დახმარების სამსახურმა მხარი დაუჭირა ყველა არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმისთვის სახელმწიფოს ხარჯზე სავალდებულო წესით ადვოკატის მონაწილეობის საკითხს და გამოთქვა მზაობა აქტიურად ჩაერთოს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებაში.

## „ბავშვის უფლებათა“ კოდექსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება

იურიდიული დახმარების სამსახურმა განიხილა „ბავშვის უფლებათა“ კოდექსის პროექტი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი და საქართველოს პარლამენტში გადააგზავნა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მოსაზრებები „ბავშვის უფლებათა“ კოდექსთან დაკავშირებით. სამსახურმა აგრეთვე მონაწილეობა მიიღო „ბავშვის უფლებათა“ კოდექსთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრებში და დაამუშავა სტატისტიკური მონაცემები და ხარჯთაღრიცხვა;

## „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო წინადადების მომზადება

იურიდიული დახმარების სამსახურმა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნით შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადებები ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;

## "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი საკანონმდებლო წინადადების შემუშავება

იურიდიული დახმარების სამსახურმა გაეროს ლტოლვილთა უმღლესი კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადება "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე–3 ნაწილში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, თავშესაფრის მაძიებლები და მოქალაქეობის არმქონე პირები ადმინისტრაციულ ორგანოებში ისარგებლებენ იურიდიული დახმარებით.

# 3.4. მემორანდუმები

## ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა

**2019 წლის 26 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურსა და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც წეროვანის დევნილთა დასახლებაში, იურიდიული დახმარების სამსახურის დისტანციური სამართლებრივი დახმარების ოთახი გაიხსნა.

მემორანდუმის ფარგლებში, სამსახურს გადაეცა ოთახი წეროვანის დასახლების ახალგორის მუნიციპალიტეტის შენობაში, ასევე გამოეყო მუნიციპალიტეტის თანამშრომელი რომელიც დაეხმარება დევნილებს იურიდიული დახმარების სამსახურთან დაკავშირებაში.

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ოთახი აღიჭურვა სპეციალური ტექნიკით, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მისცემს საშუალებას, ისარგებლოს უფასო ონლაინ იურიდიული კონსულტაციით ნებისმიერ საკითხზე.

მემორანდუმის ხელმოწერის ღონისძიებას ესწრებოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის რეგიონული მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში ქრისტინა ბუნეა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილი, მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ირაკლი ცქიტიშვილი და ადგილობირივი მმართველობის წარმომადგენლები.

ღონისძიების ფარგლებში წეროვანის დასახლების კულტურის ცენტრში გაიმართა კონცერტი, რომელშიც ანიმატორები, დევნილი ბავშვები და ახალგორის თვითმოქმედი ანსამბლები მონაწილეობდნენ. მოზარდებს იურიდიული დახმარების სამსახურმა გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

## ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული

**2019 წლის 31 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურსა და სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სამსახურის დირექტორმა რაჟდენ

## ცენტრი

კუპრაშვილმა და ცენტრის უფროსმა გიგა გაბელაიამ.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მემორანდუმის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ინფორმაციის მიწოდება უფასო სამართლებრივი დახმარების პირობებზე; შემუშავდება საგანმანათლებლო მოდულები; ახალგაზრდები გაეცნობიან თავიანთ უფლებებს, რაც, ხელს შეუწყობს მოზარდებში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას.

## ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრი

**2019 წლის 5 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურსა და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოაწერეს სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და ცენტრის დირექტორმა ლაშა კილაძემ.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრი იურიდიული დახმარების სამსახურს უსასყიდლოდ მიაწოდებს საჭირო ცნობებსა და ინფორმაციას, ხოლო იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს უფასო სამართლებრივ დახმარებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის საკითხებზე.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეებმა აიღეს ვალდებულება, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფსიქიკურ დაავადებათა შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით განახორციელებენ ერთობლივ სოციალურ-სამართლებრივ პროექტებს.

## შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**2019 წლის 20 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურსა და შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და უნივერსიტეტის რექტორმა თეონა ხუფენიამ. მემორანდუმის თანახმადაც შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის უნივერსიტეტის სტუდენტები პრაქტიკულ სასწავლო კურსს გაივლიან იურიდიული დახმარების სამეგრელოს- ზუგდიდის ბიუროში.

## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**2019წლის 20 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურსა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და უნივერსიტეტის რექტორმა, როლანდ კოპალიანმა.

მემორანდუმის საფუძველზე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები პრაქტიკულ სასწავლო კურსს გაივლიან იურიდიული დახმარების სამსახურში.

## საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

**2019 წლის 18 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურსა და საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმის თანახმად, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები პრაქტიკულ სასწავლო კურსს გაივლიან იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და უნივერსიტეტის რექტორმა გია კავთელიშვილმა.

## თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

**2019 წლის 24 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურსა და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ამილახვარმა.

მემორანდუმის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ჩამოყალიბდება პრაქტიკული სასწავლო კურსი.

სტუდენტები, პრაქტიკულ კურსს ერთი აკადემიური სემესტრის განმავლობაში გაივლიან იურიდიული დახმარების სამსახურში. სემესტრის ბოლოს, წარმატებულ სტუდენტებს მიენიჭებათ აკადემიური კრედიტი.

# 4. საერთაშორისო ურთიერთობები

## 4.1. საერთაშორისო დელეგაციები

10

ვიზიტი

### ავღანეთის დელეგაცია

**2019 წლის 22 აპრილს,** იურიდიული დახმარების სამსახურს ესტუმრნენ ავღანეთის იუსტიციის სამინისტროს, საერთაშორისო დონორი და ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დელეგაცია გაეცნო საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემას, სამსახურის მიღწევებს და სამომავლო გეგმებს.

**2019 წლის 23 აპრილს,** ავღანეთის იუსტიციის სამინისტროს, საერთაშორისო დონორი და ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესტუმრნენ ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს, გაეცნენ ბიუროს საქმიანობას და დაათვალიერეს არასრულწლოვანთა გამოკითხვისთვის მოწყობილი ოთახი. ოთახის მოწყობა განხორციელდა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით და იგი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

### ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს (U.S. EMBASSY IN GEORGIA) იუსტიციის დეპარტამენტის სასამართლო რეფორმის

**2019 წლის 31 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურს ესტუმრნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის მრჩეველი სასამართლო რეფორმის საკითხებში კენტ კესიბერი, USAID-ის დემოკრატიის, მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორი ადამ შმიდტი და USAID-ის დემოკრატიის, მმართველობისა და სოციალური განვითარების პროექტების ხელმძღვანელი რუსუდან ტაბატაძე.

შეხვედრა შეეხებოდა უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდის, ახალი ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების ამოქმედების, დისტანციური სამართლებრივი დახმარების ქსელის გაფართოების, საქმისწარმოების სისტემის გაუმჯობესების, სასწავლო ცენტრის და შეფასების სისტემის ამოქმედების საკითხების

**საკითხებში მრჩეველი და USAID-ის დემოკრატიის, მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორის ვიზიტი**

განხილვასა და მხარეთა მომავალ თანამშრომლობას.

**გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR-ის წარმომადგენლის ვიზიტი**

**2019 წლის 19 ივლისს,** იურიდიული დახმარების სამსახურმა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელს სამხრეთ კავკასიაში იოკო აკასაკას უმასპინძლა.

ვიზიტის დროს იოკო აკასაკამ და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა ხელი მოაწერეს იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი საკონსულტაციო ცენტრების გახსნისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის გადაცემის შესახებ შეთანხმებას.

**გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) ექსპერტის ვიზიტი**

**2019 წლის 5 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურს ესტუმრა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) ექსპერტი ლაურა ჟივეცი.

ექსპერტს წარედგინა ინფორმაცია და ანგარიში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) 1 წლიანი თანამშრომლობის პერიოდში გაწეული სამუშაოს შესახებ.

**უზბეკეთის დელეგაცია**

**2019 წლის 9 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურს "საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმირების" ფარგლებში ესტუმრა უზბეკეთის დელეგაცია ქართული უფასო იურიდიული დახმარების სისტემის გასაცნობად.

დელეგაციის წევრებს შორის იყვნენ უზბეკეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, სტრატეგიული და ანალიტიკური დეპარტამენტების

ხელმძღვანელები, რეგიონული სასამართლოების და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები.

## USAID -ის ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენლის ვიზიტი

**2019 წლის 27 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენელი, მმართველი კანონის უზენაესობის საკითხებში ენდრიუ სოლომონი და USAID-კავკასიის დემოკრატიისა და მთავრობის ოფისის კანონის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელი რუსუდან ტაბატაძე ესტუმრნენ. ვიზიტი ეხებოდა სამსახურის ხელმისაწვდომობის გაზრდას, ცნობადობის ამაღლებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე მხარეთა მომავალი თანამშრომლობის განხილვას.

## ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენლის ვიზიტი

**2019 წლის 4 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს–ზუგდიდის ბიუროს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენელი, მმართველი კანონის უზენაესობის საკითხებში ენდრიუ სოლომონი და USAID-კავკასიის დემოკრატიისა და მთავრობის ოფისის კანონის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელი რუსუდან ტაბატაძე ესტუმრნენ. სტუმრები გაეცნენ ბიუროს საქმიანობას, მიიღეს დეტალური ინფორმაცია სამართალწარმოების პროცესში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე, სამსახურის ცნობადობის ამაღლებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR-ის რეგიონალური წარმომადგენლის ვიზიტი

**2019 წლის 11 ნოემბერს** იურიდიული დახმარების სამსახურს გაეროს ლტოლვილთა უმღლესი კომისარიატის UNHCR-ის რეგიონალური წარმომადგენელი ქემლინ ფურლი ეწვია. ვიზიტის მიზანი იყო სამსახურში მიმდინარე და უახლოეს მომავალში დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება და სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვა.

## საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია

**2019 წლის 19 ნოემბერს** იურიდიული დახმარების სამსახურს საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები სოფია ოლივე მარიანო და მარინელა ნესტორეტი ესტუმრნენ. ვიზიტი ემსახურებოდა არასრულწოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში ინფორმაციის გაზიარებასა და იურიდიული დახმარების სამსახურის გამოცდილების გაცნობას.

## ევროსაბჭოს (COUNCIL OF EUROPE) ექსპერტის ვიზიტი

**2019 წლის 29 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურმა ევროსაბჭოს ექსპერტს არმან აზრვანდიანს უმასპინძლა. არმან აზრვანდიანი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მართლმსაჯულების რეფორმირებისა და ეფექტური ფუნქციონირების საკითხებზე მუშაობს. ევროსაბჭოს რეგიონული პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში იურიდიული პროფესიების გაძლიერებას ემსახურება.

## 4.2. საერთაშორისო ვიზიტები

### უფასო იურიდიული დახმარების გლობალური სამიტი "GLOBAL PRO BONO SUMMIT"

**2019 წლის 7-9 მაისს,** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენი კუპრაშვილმა, მრჩევლებმა სულხან გველესიანმა და ნინო მელაძემ, თაფრუთ ფაუნდეიშენის „Taproot Foundation" მიწვევით, მონაწილეობა მიიღეს მე-7 ყოველწლიურ უფასო იურიდიული დახმარების გლობალურ სამიტზე"Global Pro Bono Summit", ნიუ იორკში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სამიტს ესწრებოდა 31 ქვეყნის დელეგაცია, რომლებმაც მიმოიხილეს მონაწილე ქვეყნების გამოცდილება უფასო იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით, მიღწევები და გამოწვევები და შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე.

### ვიზიტი იურიდიულ ფირმა ტომსონ როიტერსში (THOMSON REUTERS)

**2019 წლის 9 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და მრჩევლებმა სულხან გველესიანმა და ნინო მელაძემ ნიუ იორკში, ამერიკის შეერთებულ შტატებში მონაწილეობა მიიღეს იურიდიული ფირმა ტომსონ როიტერსის (Thomson Reuters) მიერ გამართულ ღონისძიებაში, სადაც თაფრუთ ფაუნდეიშენის („Taproot Foundation") დირექტორთან, ლინდსი გრუბერთან (the CEO of the Taproot Foundation Lindsay Gruber) ერთად განიხილეს იურიდიული დახმარების სამსახურში არსებული რეფერალური სისტემა და ამ მხრივ ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

### ვიზიტი საერთაშორისო სამართლებრივ ფონდში

**2019 წლის 10 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი და მრჩევლები სულხან გველესიანი და ნინო მელაძე ნიუ იოკში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შეხვდნენ საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის გუნდს (International Legal Foundation) და გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასების სისტემის ახალი კონცეფცია და მოისმინეს საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის გამოცდილება ხარისხის შეფასების სისტემისა და მის პრაქტიკაში

**(INTERNATIONAL LEGAL FOUNDATION)**

რეალიზაციასთან დაკავშირებით.

## საერთაშორისო იურიდიული დახმარების ჯგუფის კონფერენცია

**2019 წლის 17-19 ივნისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ განვითარების მიმართულებით, ირაკლი შონიამ პროფესორ ალან პატერსონისა და საერთაშორისო იურიდიული დახმარების ჯგუფის (ILAG) მიწვევითა და USAID/PROLoG-ს მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო იურიდიული დახმარების ჯგუფის რიგით მე-12 საერთაშორისო კონფერენციაში, კანადაში, ქალაქ ოტავაში. კონფერენციაზე განხილულ იქნა იურიდიული დახმარების სისტემის გამოწვევები გლობალურ დონეზე, კონფერენციაში მონაწილეობდა 50-ზე მეტი ქვეყნის დელეგატი და განხილულ იქნა Pro Bono სისტემები; თანამედროვე ტექნოლოგიების, მნიშვნელობა და როლი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით; მოწყვლადი ჯგუფების დაცვის პრობლემური მიმართულებები; ადრეულ ეტაპზე იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა და მისი მნიშვნელობა; გაწული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელობა;

## სამუშაო ვიზიტი ჰოლანდიაში არსებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის გასაცნობად

**2019 წლის 24-28 ივნისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე მონიტორინგის მიმართულებით, ნინო მელაძე საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „დეფენს ფორ ჩილდრენ ინტერნაციონალის- ნიდერლანდები“ (DCI- NL) მიწვევით სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჰოლანდიაში (ლეიდენი, ამსტერდამი, ჰააგა) ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მატრა პროგრამის მიერ დაფინანსებულ პროექტის “ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის” გასაცნობად.

ვიზიტის დროს ქართული დელეგაცია გაეცნო ჰოლანდიაში არსებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას, მულტი დისციპლინარული და მულტი სექტორული თანამშრომლობის პრინციპებს და პროცედურებს; არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშრებით, ბავშვთა დაცვის საბჭოს (Child Protection Beard) მუშაობის სპეციფიკას; ჩატარდა შეხვედრები არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების და ბავშვის დაცვის სფეროში მომუშავე სხვადასხვა სპეციალისტებთან. დელეგაცია ესტუმრა არასრულწლოვანთა დასაკითხ/გამოსაკითხ ოთახებს პოლიციასა და სასამართლოში, ასევე, არასრულწლოვნებთან მომუშავე სპეციალიზებულ ცენტრს და დაესწრო არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ბავშვისთვის მეგობრული სასამართლო განხილვის პროცესებს.

## უფასო სამართლებრივი დახმარების საერთაშორისო კონფერენცია

**2019 წლის 11 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ მხარდაჭერის მიმართულებით, სულხან გველესიანმა, მონაწილეობა მიიღეს კიევში, უკრაინაში გამართულ უფასო სამართლებრივი დახმარების საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც განიხილეს იურიდული დახმარების სამსახურის მომსახურების ხარისხის შეფასების სისტემა. სამსახურის დირექტორი და მოადგილე შეხვდნენ კრის ბენტლის (კანადის ყოფილი იუსტიციის მინისტრი). შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ მომავალი თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შესახებ. კრის ბენტლმა გამოთქვა მზადყოფნა, სამუშაო ვიზიტით ეწვიოს იურიდიული დახმარების სამსახურს საქართველოში.

## შეხვედრა პრაღაში ქართულ დიასპორასთან

**2019 წლის 23 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ მხარდაჭერის მიმართულებით, სულხან გველესიანმა, პრაღაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში შეხვედრა გამართეს ჩეხეთში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგნელებთან, უცხოეთში სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია „იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების“ და უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის დისტანციური სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობებზე.

## შეხვედრა გერმანიის ადვოკატთა ასოციაციაში

**2019 წლის 24 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და დირექტორის მოადგილემ მხარდაჭერის მიმართულებით, სულხან გველესიანმა შეხვედრები გამართეს გერმანიის ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელებთან, ქრისტიან დანსთან, გერმანიის ადვოკატთა ინსტიტუტის დირექტორთან (DAI), დოქტორ კატია მიმთან და ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორთან ფრანკ იონიკთან, სადაც განიხილეს იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის კონცეფცია, ადვოკატთა შრომის ანაზღაურების გერმანული მოდელი და იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის კონცეფცია, მოისმინეს პარტნიორების წინადადებები და გაეცნენ გერმანულ პრაქტიკას.

## შეხვედრა ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში

**2019 წლის 24 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და დირექტორის მოადგილემ სულხან გველესიანმა შეხვედრა გამართეს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანთან - ულაფ მუტჰორსტთან და განიხილეს მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების საკითხი, რომელიც მოიცავს გერმანელი სტუდენტების სტაჟირებას იურიდიული დახმარების სამსახურში და კონფერენციების გამართვას გერმანულ-ქართული შედარებითი

სამართლის კუთხით.

**შეხვედრა ბერლინში ქართულ დიასპორასთან**

**2019 წლის 24 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ მხარდაჭერის მიმართულებით, სულხან გველესიანმა, ბერლინში, გერმანიაში შეხვედრა გამართეს გერმანიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგნელებთან, უცხოეთში სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია „იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების“ და უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის დისტანციური სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობებზე.

**შეხვედრა რომში ქართულ დიასპორასთან**

**2019 წლის 29 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ მხარდაჭერის მიმართულებით, სულხან გველესიანმა, რომში, იტალიაში შეხვედრა გამართეს იტალიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან, უცხოეთში სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია „იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების“ და უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის დისტანციური სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობებზე.

**შეხვედრა მადრიდში ქართულ დიასპორასთან**

**2019 წლის 1 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ მხარდაჭერის მიმართულებით, სულხან გველესიანმა, მადრიდში, ესპანეთში შეხვედრა გამართეს ესპანეთში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგნელებთან, უცხოეთში სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია „იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების“ და უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის დისტანციური სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობებზე.

**საერთაშორისო კონფერენცია „ადვოკატთა**

**2019 წლის 25** ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა ტაშკენტში, უზბეკეთში, მონაწილეობა მიიღო ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც შეეხებოდა ,,ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუტის განვითარების კონცეფციას, უზბეკეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებას“. საერთაშორისო კონფერენციაზე მიმოიხილეს

**ასოციაციის ინსტიტუტის განვითარების კონცეფცია“**

იურიდიული საქმიანობისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ინსტიტუტის გაძლიერების საკითხები, თანამედროვე გამოწვევები. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება იურიდიული დახმარების ბაზრის განვითარებისათვის, სამომავლოდ იურიდიული საქმიანობის ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის გაზრდის უზრუნველსაყოფად. კონფერენციას ესწრებოდა 150 მონაწილე სხვადასხვა ქვეყნებიდან. ღონისძიების ფარგლებში, 2019 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრა ტაშკენტის სამართლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან და მრგვალი მაგიდა თემაზე ,,ადვოკატირების საერთაშორისო სტანდარტები“.

**შეხვედრა ლიტვის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესთან**

**2019 წლის 26 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე მონიტორინგის მიმართულებით, ნინო მელაძე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელთან თამთა დევდარიანთან ერთად შეხვდა ლიტვის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს იგნას ვეგელესა და მის მოადგილეს მინგაუდას კიკაიტისს. მხარეებმა იმსჯელეს ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ ერთმანეთს გაუზიარეს მიმდინარე პროექტები და გამოწვევები და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

**საერთაშორისო კონფერენცია „იურიდიული დახმარების სამსახურის ხარისხის სტანდარტების იმპლემენტაცია**

**2019 წლის 26-28 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირეტორის მოადგილემ მონიტორინგის მიმართულებით, ნინო მელაძემ მონაწილეობა მიიღო ვილნიუსში, ლიეტუვის რესპუბლიკის სახელმწიფოს იურიდიული დახმარების სამსახურის მიწვევით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში - „იურიდიული დახმარების სამსახურის ხარისხის სტანდარტების იმპლემენტაცია“. ნინო მელაძემ კონფერენციაზე მონაწილეებს გააცნო სამსახურის მიერ შემუშავებული სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების პროექტი. კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე და გამოთქვეს მზადყოფნა სამუშაო ვიზიტით ეწვიონ იურიდიული დახმარების სამსახურს საქართველოში.

**"საერთაშორისო კონფერენცია „ადვოკატთა პროფესიის გაძლიერება ევროპულ**

**2019 წლის 09-11 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური მიმართულებისა და პროფესიული განვითარების მენეჯერმა დავით სიმონიამ სომხეთის რესპუბლიკაში, ქ. ერევანში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „ადვოკატთა პროფესიის გაძლიერება ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში“.

კონფერენცია ჩატარდა ევროპის საბჭოს რეგიონული პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება 5 ქვეყანაში - სომხეთში, ბელორუსში, საქართველოში, მოლდოვეთში და უკრაინაში და მიზნად ისახავს ადვოკატთა ასოციაციებსა და მონაწილე ქვეყნების იურიდიულ საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის

**სტანდარტებთან შესაბამისობაში“**

გაღრმავებას, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურების შიდა ფუნქციონირებისა და დამოუკიდებლობის გაუმჯობესებას ევროსაბჭოს სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

კონფერენციაზე განხორციელდა 2020 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებების განხილვა. მონაწილეებმა ასევე განიხილეს ადვოკატთა ფუნქციონირების საპროცესო და ინსტიტუციური სტრუქტურის მიმდინარე გამოწვევები და შესაძლებლობები სომხეთში, საქართველოში, ბელორუსის რესპუბლიკაში, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინაში და განხორციელდა ხუთივე მონაწილე ქვეყნის იურისტთა საქმიანობის საპროცესო და ინსტიტუციური სისტემის შედარებითი მიმოხილვა და დაიგეგმა 2020 წლის აქტივობები.

# 4.3. საერთაშორისო პარტნიორები და აქტივობები




**2019 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR), გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN), გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLOG, USAID-PROLOG - PROMOTING RULE OF LAW IN GEORGIA), ევროსაბჭოსა (COUNCIL OF EUROPE) და და ევროკავშირის (THE EUROPEAN UNION AND THE COUNCIL OF EUROPE) მხარდაჭერით განახორციელა არაერთი აქტივობა. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა და მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური განვითარებისათვის.**

**გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR)** მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურმა 2019 წელს უზრუნველყო სამსახურის ხელმისაწვდომობის გაზრდა არა მხოლოდ თავშესაფრის მაძიებლებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, არამედ მოსახლეობისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით წეროვანის დევნილთა დასახლებაში, დისტანციური უფასო სამართლებრივი დახმარების **„ონლაინ-ოთახი“** აღიჭურვა შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) უზრუნველყო სამსახურის აღჭურვა საქართველოს მასშტაბით **18** ახალი საკონსულტაციო ცენტრის გახსნისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკით.

**2019 წლის 3-5 ივნისს,** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR/DLA Piper მხარდაჭერით, ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის, თემაზე: „ადვოკატის უნარ-ჩვევები და ადამიანის უფლებათა საერთშორისო ჩარჩო“. ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია კლიენტთან ურთიერთობის უნარ-ჩვევებზე, ლტოლვილებთან მუშაობის პრინციპებსა და ტექნიკებზე, ადამიანის უფლებათა საერთშორისო ინსტრუმენტებსა და კონვენციებზე.

ტრენინგს ესწრებოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR რეგიონული სამართლებრივი მრჩეველი კრისტინა ბუნეა, ტრენერები DLA Piper-ის წარმომადგენლები - რებეკა ჰოპკირკი, ენტონი კალარეტი, ოლივია კლარკი და მარგო ბია.

**2019 წლის 16-17 სექტემბერს,** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR ორგანიზებითა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებით, სადაც განიხილეს მოქალაქეობის არმქონეობის აღმოფხვრის გზები და მოხდა ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

**2019 წლის 24 სექტემბერს,** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR ორგანიზებითა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც მხარეებმა განიხილეს თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკითხებზე სამომავლო თანამშრომლობის გეგმები და არსებული პრობლემები.

**2019 წლის 7-9 ოქტომბერს,** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR ორგანიზებითა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით გაიმართა საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა აჭარის რეგიონში, მოქალაქეობის არქონის საკითხებზე.

**2019 წლის 18 ოქტომბერს,** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR ორგანიზებითა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით გაიმართა საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა ახალციხის რაიონში, მოქალაქეობის არქონის საკითხებზე.

**2019 წლის 28-30 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელი მიწვეულ იქნა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგზე, რომელიც ეხებოდა - თავშესაფრის სისტემისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებს.

**2019 წლის 29-30 ოქტომბერს,** ბორჯომში, გაეროს ლტოლვითა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და კონსულტანტებისათვის ჩატარდა ტრენინგი ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი დახმარების საკითხებზე.

**2019 წლის 8 ნოემბერს,** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR ორგანიზებითა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით გაიმართა საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა მარნეულში, მოქალაქეობის არქონის საკითხებზე.

**2019 წლის 11 ნოემბერს,** გაეროს ლტოლვილთა უმღლესი კომისარიატისა UNHCR და ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მხარდაჭერით, სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ"-ში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მოქალაქეობის არქონის საკითხებზე იურიდიული

დახმარების სამსახურის იურისტებისათვის. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი საქართველოში ქემლინ ფარლიმი. შეხვედრაზე განიხილეს საერთშორისო სამართლებრივი ჩარჩო მოქალაქეობის არქონის საკითხებზე, მოქალაქეობის არქონის მიზეზები და შედეგები, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები მოქლაქეობის არქონის საკითხებზე და იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოვების საკითხი მოქალაქეობის არმქონის სტატუსის მაძიებელ პირებზე;

**2019 წლის 15 ნოემბერს,** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR ორგანიზებითა და  იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით გაიმართა საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა საგარეჯოში, მოქალაქეობის არქონის საკითხებზე.

**2019 წლის 28 ნოემბერს,** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR ორგანიზებითა და  იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემების გამოკვეთის საკითხებზე.

**2019 წლის 5 დეკემბერს,** გაეროს ლტოლვილთა უმღლესი კომისარიატის UNHCR მხარდაჭერით, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა სამუშაო შეხვედრა საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისa UNHCR და თავშესაფრის, ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკითხებზე მომუშავე უწყებების აქტივობების მიმოხილვის მიზნით.

შეხვედრაზე მოხსენება გააკეთეს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის UNHCR წარმომადგენელმა საქართველოში, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, LAG-ის, იურიდიული დახმარების სამსახურისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა.

იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამსახურის პრინციპები და მიზნები, სტრუქტურა და მანდატი, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები. ისაუბრა დევნილთა საკითხებზე მანდატის გაფართოების პერსპექტივაზე და ასევე, საზღვრისპირა რეგიონებში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისგან დაკომპლექტებული მობილური ჯგუფის მიერ ადგილზე კონსულტაციის გაწევის პროექტზეც.

**2019 წელს** გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით, ტელეკომპანია „ტვ-1“-ის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ტელეკომპანია „ჯიდიესის“ ეთერით გავრცელდა  ვიდეო რგოლი, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობისა და იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების შესახებ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროსა და ქვემო ქართლის იურიდიულო დახმარების ბიუროში **დასაქმდა** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით **ორი სპეციალიზებული ადვოკატი,** რომლებმაც გაეროს

ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიარეს სპეციალური გადამზადების კურსები.

**2019 წლის 12 ივნისს,** გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი „ანგარიშების - როგორც ნარატიული ისე ფინანსურის წერის ტექნიკა“;

**2019 წლის 10-12 ივლისს,** გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით ჩატარდა სემინარი „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით“;

**2019 წლის 13 სექტემბერს,** გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, სადაც განიხილეს ძალადობის ფსიქოსოციალური ზეგავლენა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხების სამართლებრივი რეგულირება.

**2019 წლის 24-27 სექტემბერს,** წინანდალში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ინიციატივითა და მხარდაჭერით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სექსუალურ შევიწროებაზე გენდერული თანაწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე იურიდიული დახმარების სამსახურის მონაწილეობით.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ **მომზადდა სპეციალური პრეზენტაცია** სახლეწოდებით „სექსუალური შევიწროება“.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ **დაიბეჭდა ტრიპლეტი** „სექსუალური შევიწროება ძალადობაა“.

**2019 წლის 15-16 მარტს,** გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ევროკავშირის მხარდაჭერით, ქ. ბორჯომში, გაიმართა შეხვედრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმეებზე იურიდიული დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმთან დაკავშირებით.

**2019 წლის 26 მაისს,** წეროვანის დევნილთა დასახლებაში იურიდიული დახმარების სამსახურის დისტანციური მომსახურების ცენტრის გახნის ღონისძიებაზე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, წეროვანის დასახლებაში მცხოვრებ არასრულწლოვნებს გადაეცათ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით ბროშურები და სხვა საჩუქრები.

**2019 წლის 20 ივნისს,** პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის გახსნის ღონისძიებაზე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, არასრულწლოვნებს გადაეცათ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით ბროშურები და სხვა საჩუქრები.

**2019 წლის 29 მარტს,** იურიდიული დახმარების სამსახურში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით (USAID-PROLoG - Promoting Rule of Law in Georgia), გაიმართა სამუშაო შეხვედრა სამსახურის სასწავლო ცენტრის კონცეფციის შემუშავებასთან დაკავშირებით.

**2019 წლის 21 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „საგამოძიებო მოქმედებები, მტკიცებულებები და მტკიცების საგანი სისხლის სამართლის პროცესში“.

**2019 წლის 22 მაისს,** იმერეთის - ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „სასჯელის შეფარდება და სასჯელის დასაბუთება, პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება“.

**2019 წლის 27 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „სასჯელის შეფარდება და სასჯელის დასაბუთება, პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება“.

**2019 წლის 28 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „სასჯელის შეფარდება და სასჯელის დასაბუთება, პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება“,

**2019 წლის 7-9 ივნისს,** თელავში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრაზე იმსჯელეს კონცეფციით განსაზღვრული სასწავლო ცენტრის სტრუქტურის, ბიუჯეტის და თანამშრომელთა პასუხისმგებლობების შესახებ.

**2019 წლის 18 ივნისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „მტკიცებულება და მისი დასაშვებობა, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები“.

**2019 წლის 26-27 ივნისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა

ტრენინგი თემაზე: "ბავშვის უფლებები, ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო ვალდებულებები".

**2019 წლის 4 ივლისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციულ ოფისში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფის მორიგი შეხვედრა.

**2019 წლის 12-13 ივლისს,** ბორჯომში, სასტუმრო ქრაუნ პლაზაში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს და შეფასების სისტემაზე მომუშავე ჯგუფის გასვლითი შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასების განახლებული კონცეფცია, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და პროფესიული საიდუმლოების დაცვა.

**2019 წლის 22 ივლისს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: "მემკვიდრეობითი სამართლის აქტუალური საკითხები -კანონმდემდებლობა და სასამართლო პრაქტიკა".

**2019 წლის 23-24 ივლისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: "სამოქალაქო საქმისწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში - აღიარებითი სარჩელი, უდავო წარმოება, მხარეები და მესამე პირები სამოქალაქო პროცესში“.

**2019 წლის 6 სექტემბერს,** პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი ანგარიშების ანალიტიკური წერის შესახებ, სადაც განხილულ იქნა წლიური ანგარიშების მომზადების თვისებურებები, სტრუქტურა, შინაარსობრივი და ფორმალური მხარეები.

**2019 წლის 11 სექტემბერს,** თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: "მემკვიდრეობითი სამართლის აქტუალური საკითხები -კანონმდემდებლობა და სასამართლო პრაქტიკა".

**2019 წლის 19 სექტემბერს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: "სამოქალაქო საქმისწარმოება პირველის ინსტანციის სასამართლოში - აღიარებითი

სარჩელი, უდავო წარმოება, მხარეები და მესამე პირები სამოქალაქო პროცესში."

**2019 წლის 23 სექტემბერს,** თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: "მემკვიდრეობითი სამართლის აქტუალური საკითხები -კანონმდემდებლობა და სასამართლო პრაქტიკა".

**2019 წლის 24 სექტემბერს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, გაიმართა მრგვალი მაგიდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, მთავარი პროკურატურის ნაფიც მსაჯულთა განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსისა და სამსახურის ადვოკატებისა და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის თანამშრომლების მონაწილეობით. მონაწილეებმა ერთობლივად შეიმუშავეს ის რეკომენდაციები და წინადადებები, რაც მხარეებს დანაშაულის პროვოცირების აკრძალვისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვის პროცესში დაეხმარება და ეფექტურს გახდის მათ პრაქტიკულ საქმიანობას.

**2019 წლის 25 ოქტომბერს,** თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „რელიგიის თავისუფლება: პრაქტიკული კურსი“. მონაწილეებმა განიხილეს კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კონტექსტში; პროზელიტიზმი; რელიგიური სიმბოლიკის გამოყენება საჯარო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართლებრივი სტანდარტები და მათი გავლენა კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე.

**2019 წლის 29 ოქტომბერს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „საოჯახო სამართალი, ბავშვის უფლებები, ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო ვალდებულებები“.

**2019 წლის 12 ნოემბერს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „ეფექტური სამართალწარმოება გენდერული თანასწორობის საკითხებზე“. მონაწილეებმა განიხილეს ქალთა შრომითი უფლებები, სახელფასო სხვაობა, ქალთა უფლებების შესახებ საერთაშორისო ინსტრუმენტები და მათი გამოყენება სამართალწარმოებაში, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბულის კონვენცია), ადამიანის უფლებებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

ქალთა უფლებებზე და ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე.

**2019 წლის 27 ნოემბერს,** თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის აქტუალურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მონაწილეობით. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმის განხილვის თავისებურებები, პრაქტიკაში არსებული პრობლემები, ადმინისტრაციული სარჩელის სახეები და ადმინისტრაციულ სამართალში უფლების წინასწარი დაცვის შესაძლებლობა, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თავისებურებები,

**2019 წლის 29 ნოემბერს,** იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „რელიგიის თავისუფლება, პრაქტიკული კურსი“.

**2019 წლის 11 დეკემბერს,** თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, სამსახურის ადვოკატებისათვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: „ეფექტური სამართალწარმოება გენდერული თანასწორობის საკითხებზე“.

**2019 წლის 19 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციულ ოფისში, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის მმართველი გუნდის წევრებისა და თანამშრომლებისათვის გაიმართა ტრენინგი მენეჯმენტის უნარებზე.

**2019 წლის 4 ივლისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროსაბჭოს მხარდაჭერით გამართულ სემინარში "ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ მონაცემთა აღრიცხვა ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის სტანდარტების შესაბამისად".

**2019 წლის 30 სექტემბერს,** ევროსაბჭოს (Council of Europe) მხარდაჭერით, გაიმართა ფოკუს ჯგუფის შეხვედრა დისკრიმინაციის, ქალთა მიმართ და ოჯახში და ძალადობის საკითხებზე.

**2019 წლის 1 ოქტომბერს,** ევროსაბჭოსა და ევროკავშირის (The European Union and the Council of Europe) მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა თემაზე: იურიდიული პროფესიის გაძლიერების მხარდაჭერა, სამსახურის როლის წარმოჩენა და სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა.

**2019 წლის 19 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კაჭრეთში, ევროსაბჭოს მხარდაჭერით გამართულ სემინარში, რომელიც ეხებოდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და

ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისათვის გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარებას, მონაცემთა შეგროვებასა და ევრო საბჭოს სტამბოლის კონვენციის მონიტორინგის მექანიზმებს (GREVIO). სემინარის მომხსენებლები იყვნენ ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის, უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენლები, GREVO-ს ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე როზა ლოგარი, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლები.

**2019 წლის 28 ნოემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს ორგანიზებით გამართულ სემინარში თემაზე: „ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა“. სემინარი ეხებოდა ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის შესახებ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის გაზიარებას.

**2019 წლის 9-11 დეკემბერს,** ერევანში, სომხეთში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ადვოკატთა პროფესიის გაძლიერება ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა“, რომელსაც ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელი.

**2019 წლის 16-17 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ბორჯომში, ევროპის საბჭოს ორგანიზებით გამართულ გასვლით სამუშაო შეხვედრაში სტამბულის კონვენციის მონიტორინგის მენქანიზმისთვის (GREVIO-სთვის) მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგია. სემინარის მიზანი იყო GREVIO-ს მექანიზმის სიღრმისეული გაცნობა და წარმოდგენილი უწყებების მიერ GREVIO-ს სტანდარტების მიხედვით მონაცემთა შეგროვების გზების შესწავლა.

## სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საერთაშორისო პარტნიორები

| | |
|---|---|
| UNHCR | EUROPEAN UNION |
| USAID/PROLOG | UNDP |
| UN WOMEN | GIZ |
| UNICEF | OHCHR |
| COUNCIL OF EUROPE | EU4JUSTICE |

# 5. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი

## იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები

**2019 წელს** იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შემუშავდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების ახალი პროექტი, რომელიც სამსახურის დირექტორის მიერ **2019 წლის 5 ნოემბერს,** "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–14 მუხლის პირველი პუნქტის "ო" ქვეპუნქტისა და ამავე კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინა იურიდიული დახმარების საბჭოს.

### მიმოხილვა

**2019 წლის აპრილში,** იურიდიული დახმარების სამსახურში, სამსახურის აპარატის თანამშრომლებისა და საზოგადოებრივი ადვოკატების მონაწილეობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების შესამუშავებლად.

სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, უცხო ქვეყნების გამოცდილება, საერთაშორისო აქტები და მათ საფუძველზე შეიმუშავა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების ახალი პროექტი, რომელიც წარედგინა და მოწონებულ იქნა სხვადასხვა უწყებების მიერ.

**2019 წლის 23 აგვისტოს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ

კუპრაშვილი შეხვდა იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსს ბექა ძამაშვილს და მის მოადგილეს თამარ როსტიაშვილს.

შეხვედრაზე სამსახურის დირექტორმა წარადგინა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების პროექტი, რომელიც მოწონებულ იქნა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მიერ.

**2019 წლის 24 სექტემბერს,** სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და დირექტორის მოადგილემ მხარდაჭერის მიმართულებით, სულხან გველესიანმა, სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების პროექტი გააცნო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, ქრისტიან დანს, გერმანიის ადვოკატთა ინსტიტუტის დირექტორს (DAI), დოქტორ კატია მიმთანსა და გერმანიის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს ბატონ ფრანც იონიგკს, რომელთაგან დადებითი შეფასება დაიმსახურა.

**2019 წლის 16 სექტემბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და დირექტორის მოადგილემ მონიტორინგის მიმართულებით, ნინო მელაძემ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების, ასევე, რეგიონული ცენტრების, აღმასრულებელი საბჭოს და ეთიკის კომისის წარმომადგენლებს წარუდგინეს სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების პროექტი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ წარდგენილ კონცეფციას დადებითი შეფასება მისცა.

**2019 წლის 5 ოქტომბერს,** იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების პროექტი წარუდგინა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებს, რომლებმაც პროექტს დადებითი შეფასება მისცეს.

## შეფასების სისტემა

სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების პროექტი შემუშავდა ევრო პარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივების, გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნების, ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით.

შეფასების წესი და კრიტერიუმები ეფუძნება და იცავს ადვოკატის დამოუკიდებლობის, პროფესიული საიდუმლოების (კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დაუშვებლობა) და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს სამსახურის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარისხის შეფასებას 2 კრიტერიუმის ფარგლებში:

**პრაქტიკული კომპეტენცია** - ადვოკატის/კონსულტანტის მიერ საქმის დროულად და ორგანიზებულად წარმართვას/კონსულტაციის გაწევა:

- ✓ იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის (ბენეფიციარის) საქმის მასალების გაცნობა;
- ✓ საქმის გასაცნობად საკმარისი დროის დათმობა და სათანადოდ მომზადება;
- ✓ ბენეფიციართან სათანადო კომუნიკაცია;
- ✓ ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება;
- ✓ ბენეფიციარისათვის უფლებების განმარტება;
- ✓ ბენეფიციართან შეთანხმებული ქმედებების განხორცელება;
- ✓ სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხროციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებში დროულად გამოცხადება,

და

**პროფესიული უნარები:**

- ✓ ბენეფიციართან კომუნიკაციისას ადვოკატის/კონსულტანტის მიერ ემპათიის გამოჩენა,
- ✓ ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მარტივად და გასაგებად გადაცემის უნარი,
- ✓ სამართლებრივი ცოდნის პროაქტიულად გამოყენების უნარი,
- ✓ სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ/საგამოძიებო ორგანოებში, ადმინისტრაციულ ორგანოში და წარმომადგენლობის განხროციელებასთან დაკავშირებით სხვა ორგანოებთან თუ სხვა ნებისმიერ პირთან სათანადო კომუნიკაცია.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს სამსახურის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფას

**პროფესიულ კომპეტენციაში,** რომელიც მოიცავს:

- ✓ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნას;
- ✓ საკანონდებლო სფეროში განხორციელებული ცვლილებების ცოდნას;
- ✓ საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ცოდნას;
- ✓ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ცოდნას;
- ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ცოდნას;

- ✓ სხვა საერთაშორისო აქტების ცოდნას;

შეფასების სისტემის მიხედვით, სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება და უზრუნველყოფა განხორციელდება შემდეგი **საშუალებებით:**

- ✓ ბენეფიციართან კომუნიკაციის კითხვარი;
- ✓ იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ჩანაწერები;
- ✓ ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევა;
- ✓ მხარდამჭერთა ჯგუფი;
- ✓ სასამართლო პროცესზე დასწრება;
- ✓ იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი.

# 6. იურიდიული დახმარების საბჭო

## სამსახურის დირექტორის არჩევა

**2019 წლის 18 თებერვალს,** იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორად არჩეულ იქნა რაჟდენ კუპრაშვილი.

## სამსახურის სტრატეგიის დამტკიცება

**2019 წლის 5 მარტს,** იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამსახურის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

## საბჭოს თავმჯდომარის არჩევა

**2019 წლის 18 მარტს,** იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ არჩეულ იქნა ახალი თავმჯდომარე. იურიდიული დახმარების საბჭოს წევრებმა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს იურიდიული დახმარების საბჭოში იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი ნათია ჩირიკაშვილი 1 წლის ვადით.

## ახალი ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების გახსნა

**2019 წლის 30 აპრილს,** იურიდიული დახმარების საბჭომ დირექტორის მიმართვის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების 2 ახალი ბიუროს: გურიის-ოზურგეთისა და კახეთის-გურჯაანისა და 9 საკონსულტაციო ცენტრის - პანკისის, ცაგერის, ყაზბეგის, დმანისის, მარტვილის, შუახევის, ხაშურის, ბორჯომის, წალენჯიხის გახსნის შესახებ.

2019 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებებით ასევე განისაზღვრა გურიის-ოზურგეთის, კახეთის-გურჯაანისა და კახეთის-თელავის ბიუროების სამოქმედო ტერიტორიები.

ახალი ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების გახსნისათვის საბჭოს წევრებმა ამავე სხდომაზე ცვლილება შეიტანეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2018

წლის 20 მარტის #58-ე გადაწყვეტილებაში.

**რეესტრის ანაზღაურების გაზრდა 20 %-ით**

**2019 წლის 30 აპრილს,** იურიდიული დახმარების საბჭომ დირექტორის მიმართვის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N25–ე გადაწყვეტილების დანართ N10–ში (დამატებით ანაზღაურება სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი შედეგებისათვის) ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებით **მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ადვოკატების შრომის ანაზღაურება შედეგების კუთხით გაიზარდა 20%–ით.**

**ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცება**

**2019 წლის 30 აპრილს,** იურიდიული დახმარების საბჭომ დირექტორის მიმართვის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ” იურიდიული დახმარების საბჭოს 2014 წლის 25 დეკემბრის N12 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (დანართი N1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

საბჭოს წევრებმა ამავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის ყოველთვიური ანგარიშების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ დანართების (#1, 2, 3, 4, 5) შესაბამისად.

**2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შეთანხმება**

**2019 წლის 22 აგვისტოს,** იურიდიული დახმარების საბჭომ შეითანხმა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

**სამსახურის აპარატის ახალი სტრუქტურის დამტკიცება**

**2019 წლის 2 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების საბჭომ ცვლილებები და დამატებები შეიტანა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის #53 გადაწყვეტილებაში და დაამტკიცა სამსახურის აპარატის ახალი სტრუქტურა. სამსახურის ახალი სტუქტურის ამოქმედება განისაზღვრა 2020 წლის 1 იანვრიდან.

**ბიუროების**

**2019 წლის 2 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების

## სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრა

სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ.

## რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატთა ჩარიცხვის პროცედურა

**2019 წლის 2 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის #18 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ, რომლის თანახმადაც დადგინდა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატთა ჩარიცხვის ახალი წესი.

ცვლილებები და დამატებები შევიდა ასევე მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის #25 გადაწყვეტილებაშიც.

## ახალი საკონსულტაციო ცენტრების გახსნა

**2019 წლის 12 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების საბჭომ ცვლილებები და დამატებები შეიტანა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის #53-ე გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის #69-ე გადაწყვეტილებაში, რომლითაც სამსახურის ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

### 14 ბიურო

თბილისის, მცხეთის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, რუსთავის, გორის, ახალციხის, ზესტაფონის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის, ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროები.

### 49 საკონსულტაციო ცენტრი

ამბროლაურის, ახალქალაქის, წალკის, მარნეულის, მესტიის, საჩხერის, დუისის, ცაგერის, ყაზბეგის, დმანისის, მარტვილის, შუახევის, ხაშურის, ბორჯომის, წალენჯიხის, ახმეტის, წყალტუბოს, ტყიბულის, დედოფლისწყაროს, ჭიათურის, ხობის, აბაშის, ონის, გარდაბნის, ბოლნისის, ჩხოროწყუს, ლაგოდეხის, ხარაგაულის, დუშეთის, ბაღდათის, ქარელის, მარტვილის, თიანეთის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, სენაკის, სამტრედიის, ადიგენის, ხონის, ჩოხატაურის, ლენტეხის, ქობულეთის, ყვარლის, ასპინძის, ქედის, იმერეთისა და ქვემო სვანეთის რეგიონის,

სამეგრელოს-ზემო სვანეთის რეგიონის, შიდა ქართლის რეგიონის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის საკონსულტაციო ცენტრები.

## საშტატო ნუსხის დამტკიცება

**2019 წლის 12 დეკემბერს,** იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ, სამსახურის ახალი სტრუქტურის შესაბამისად.

# 7. საკონსულტაციო საბჭო

## მიზანი

**2019 წლის 15 აპრილს,** სამსახურის დირექტორის ინიციატივითა და გადაწყვეტილებით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო და დამტკიცდა საკონსულტციო საბჭოს დებულება.

საკონსულაციო საბჭოს ფუნქციად განისაზღვრა სამსახურის ადვოკატებს, კონსულტანტებსა და სამსახურის ადმინისტრაციას შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა, მიმდინარე საკითხებზე დროული რეაგირება და სამსახურის განვითარების მიმართულების განსაზღვრისას სამსახურის ადვოკატთა ხედვების იდენტიფიცირება.

საკონსულტაციო საბჭო შედგება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების მიერ საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტებისაგან არჩეული 5 და დირექტორის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

## საქმიანობა

**2019 წლის 31 მაისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციულ ოფისში პირველად შეიკრიბა საკონსულტაციო საბჭო.

შეხვედრაზე განიხილეს სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი გეგმები, მათ შორის განგრძობითი განათლების სისტემის დანერგვის, ახალი საკონსულტაციო ცენტრებისა და ბიუროების ამოქმედების შესახებ და იმსჯელეს ადვოკატთა ანაზღაურების, ასევე სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესსა და კრიტერიუმებზე.

**2019 წლის 17 ივნისს,** იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციულ ოფისში გაიმართა საკონსულტაციო საბჭოს მეორე სხდომა, სადაც იმსჯელეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების ახალი პროექტზე.

**2019 წლის 12 დეკემბერს,** ჩატარდა მესამე შეხვედრა, რომელზეც საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს სამსახურის მიმდინარე საკითხებზე, სამომავლო გეგმებზე და კიდევ ერთხელ განიხილეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების ახალი პროექტი.

# 8. სამთავრობო სამოქმედო გეგმები

11 გეგმა

- ✓ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ✓ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის;
- ✓ საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა საკომუნიკაციო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ✓ ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ✓ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა (2019-2020 წლები);
- ✓ ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019-2021 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- ✓ ნატო–საქართველოს ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (ANP);
- ✓ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019 –2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ✓ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა;

## აქტივობები

ეროვნულ სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებისა და საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა პარტნიორების მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

